ვერსია

№12 (1702) 15 — 21 მაისი ოთხშაბათი 2024 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

დავა ქონებისთვის და დედამამიშვილისთვის დაგებული კრიმინალური ხაფანგი

როგორ ცდილობდა ძმა ძმის მოცილებას

რა სახის ფინანსური დარღვევები გამოვლინდა იუსტიციის სამინისტროში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

რა ქონებას ფლობს პრემიერ-მინისტრი

ირაკლი კობახიძის ქონებრივი დეკლარაცია

წარსული, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ

საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე სასტიკად დარბეული აქციის ანატომია

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დანაშაულებრივი ჯგუფის 15 წევრი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, აჭარისა და იმერეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებთან და გენერალურ პროკურატურასთან ერთად, კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, დანაშაულებრივი ჯგუფის 15 წევრი დააკავეს.

დაკავებულებს შორის არიან, როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

არასრულწლოვანების მიმართ განხორციელებული ტრეფიკინგის ბრალდებით დაკავებულები არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 1972 წელს დაბადებული ვ.ა., 1972 წელს დაბადებული ნ.მ., 1961 წელს დაბადებული ა.ბ., 1993 წელს დაბადებული ი.ბ., 1994 წელს დაბადებული ბ.ბ., 1990 წელს დაბადებული უ.ა. და წარსულში ნასამართლევი 1987 წელს დაბადებული ა.ბ.

ორგანიზებული ჯგუფის მიერ განხორციელებული ძარცვისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტებზე დაკავებულები არიან საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 2008 წელს დაბადებული ნ.მ., 2009 წელს დაბადებული ა.ფ., 2000 წელს დაბადებული კ.ბ., 1988 წელს დაბადებული ა.ბ., 1987 წელს დაბადებული შ.ბ. და 1995 წელს დაბადებული მ.ბ. და წარსულში ნასამართლევი პირები 2004 წელს დაბადებული ა.ბ., 2005 წელს დაბადებული მ.მ.

დანაშაულები 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოში მცხოვრებმა უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა არასრულწლოვანთა ვაჭრობის სქემა შეიმუშავეს. აღნიშნულის სისრულეში მოყვანისა და შრომითი ექსპლუატაციის გაწევის მიზნით, არასრულწლოვან შვილებს, სხვადასხვა ქალაქში აიძულებდნენ, ეთხოვათ მოწყალება, ხოლო მიღებულ თანხას კი სრულად ისაკუთრებდნენ.

იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანები არ დაემორჩილებოდნენ ბრალდებულების მოთხოვნებს, ისინი მათზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ და იძულებულს ხდიდნენ, დამორჩილებოდნენ მათ მითითებებს.

კომპლექსურად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ასევე დადგინდა, რომ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი შექმნეს. ბრალდებულები, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თბილისში, სხვადასხვა ლოკაციაზე, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, საქართველოში ჩამოსული ტურისტების კუთვნილ ფულად თანხებს ეუფლებოდნენ.

გამოძიების მიმდინარეობისას, ასევე დადგენილ იქნა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადმოკვეთეს უკანონოდ და საქართველოში იმყოფებოდნენ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე სეკუნდა, 178-ე და 344-ე მუხლებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სხვადასხვა სამთავრობო უწყების, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის ვებგვერდებზე განხორციელებული კიბერშეტევის ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 286-ე მუხლის მე-4 ნაწილით დაიწყეს, რაც კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის მიმართ ჩადენილ კომპიუტერული მონაცემის ან კომპიუტერული სისტემის ხელყოფას გულისხმობს.

აღნიშნული გამოძიების ფარგლებში, ჩატარდა და ამ დრომდე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები თბილისსა და ბათუმში. მათ შორის, თბილისში, ი. აბაშიძის #22-ში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში, საიდანაც სამართალდამცველებმა, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს. სამართალდამცველებმა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რაც ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვას გულისხმობს, 1984 წელს დაბადებული უ.ა. დააკავეს.

გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის 286-ე მუხლის მე-4 ნაწილით და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის მიმართ ჩადენილ კომპიუტერული მონაცემის ან კომპიუტერული სისტემის ხელყოფასა და ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის, თეიმურაზ კუპატაძის ბრიფინგი

„გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია იმ საერთაშორისო საპოლიციო ღონისძიებების პრაქტიკის შესახებ, რომელთა გამოყენებითაც, როგორც ევროპის წამყვან ქვეყნებში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში, პოლიციის მიერ ხდება შეკრება-მანიფესტაციის დროს მასების მართვა და საჭიროების შემთხვევაში, კანონით დადგენილი სპეციალური საშუალებების გამოყენება. ბოლო პერიოდში, სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერისა და აქციის ორგანიზატორების მხრიდან, მედიასაშუალებებსა და სოციალურ ქსელებში გავრცელდა არაერთი დეზინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს სამართალდამცველებმა დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალას გადაამეტეს და განახორციელეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებები. გვსურს, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ პოლიცია შეკრება-მანიფესტაციების დროს, ყოველთვის მოქმედებს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. შინაგან საქმეთა სამინისტროში შემუშავებული ინსტრუქციები, რომელიც არეგულირებს შეკრება-მანიფესტაციების მართვას, სრულ შესაბამისობაშია ეუთო/ოდირის სახელმძღვანელო პრინციპებთან. შესაბამისად, სამართალდამცველების მხრიდან სპეციალური ღონისძიებების განხორციელება ხდება საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, თანმიმდევრულად და განვითარებული მოვლენების საპასუხოდ, ანალოგიურად მოქმედებდა პოლიცია ბოლო პერიოდში მიმდინარე აქციების დროსაც. შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წარმომადგენლებს, დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში, სხვადასხვა საერთაშორისო სწავლებაში აქვთ მონაწილეობა მიღებული და ისინი გადამზადებულნი არიან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მათ საერთაშორისო დონის სწავლებები გავლილი აქვთ, როგორც საქართველოში, ასევე, გერმანიაში, ბულგარეთში, ნიდერლანდებში, იტალიაში, საფრანგეთსა და თურქეთის რესპუბლიკაში. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს გადამზადება გავლილი აქვთ: კრიზისულ სიტუაციაზე რეაგირებისა და მოლაპარაკებების, შეკრებისა და მანიფესტაციის ეფექტიანი მართვისა და საჯარო დემონსტრაციების დროს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით ძალის გამოყენების შესახებ. ეკიპირება, სპეციალური ტექნიკა, აღჭურვილობა და სპეციალური საშუალებები, რომელთაც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები გამოიყენებენ, არის საერთაშორისო სტანდარტის და მათი უმეტესი ნაწილი შეძენილია ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. აქვე, გვსურს, საზოგადოებას გავაცნოთ სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა დროს, ჩატარებული საპოლიციო ღონისძიებების ამსახველი ვიდეომასალა. განვითარებული სამყარო თანხმდება, რომ ნებისმიერ სახელმწიფოში მართლწესრიგის დაცვა არის პოლიციის უმთავრესი ამოცანა და ეს კადრებიც ადასტურებს იმას, რომ ყველა ქვეყანაში პოლიციას აქვს უფლება, კანონის შესაბამისად იმოქმედოს და უფლებამოსილების ფარგლებში, საზოგადოებისთვის ხშირად მიუღებელი და უმკაცრესი ზომები გამოიყენოს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო პერიოდში, საქართველოში, კერძოდ, თბილისში მიმდინარე შეკრება-მანიფესტაციები არაერთხელ გასცდა შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონმდებლობით მიღებულ ზომებს. ვნახეთ შტურმი საკანონმდებლო ორგანოზე, პიკეტირების მცდელობა პარლამენტზე და ასევე, ძალადობის არაერთი შემთხვევა სამართალდამცველების მისამართით. ეს კადრები არა მარტო ქართული მედიის, არამედ მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში მოხვდა და ჩემი ევროპელი კოლეგებიც დამეთანხმებიან, რომ ეს იყო პროპორციული ძალა და საკმაოდ ლმობიერი ქმედებები, რაც ქართველმა სამართალდამცველებმა გამოიყენეს. ვაფრთხილებთ აქციის ყველა მონაწილესა და ორგანიზატორს, იმ დროს, როდესაც პოლიცია კანონის შესაბამისად დაიწყებს აქციის მონაწილეთა ძალადობრივი ქმედებების აღკვეთას, გამოყენებული იქნება მკაცრი ზომები ისევე, როგორც ამერიკის და ევროპის წამყვან ქვეყნებშია მიღებული.

წარსული, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ

ნინო დოლიძე

ბოლო დღეებში ერთობ აქტუალურია ოპოზიციის მიტინგებზე აქტივისტების დაკავება. ზოგადად, 30 წელია, საქართველოში აქციები და აქციების დაშლა არავის უკვირს, მაგრამ ამ მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დაშლაა, აქციისა, რომლის გამოც, ექსპრეზიდენტს ბრალდებაც აქვს წაყენებული. „ვერსია" გარკვეული შეფასებებისგან, ან პარალელებისგან თავს იკავებს და არქივიდან 7 ნოემბრის აქციის დარბევის პერიპეტიებს კომენტარების გარეშე გთავაზობთ.

საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე სასტიკად დარბეული აქციის ანატომია

როგორ მზადდებოდა 7 ნოემბერი

2007 წლის 12 სექტემბერი – შიდა ქართლის რეგიონის გუბერნატორი მიხეილ ქარელი, რომელიც თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილთან დაახლოებული პირია, თანამდებობას ტოვებს. ქარელმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ცნობილი გახდა, რომ გორის გამგეობის რამდენიმე მაღალჩინოსანი კორუფციის ბრალდებით დააპატიმრეს.

14 სექტემბერი – ოქრუაშვილთან დაახლოებული ორი დეპუტატი – თეო ტლაშაძე და ქეთევან მახარაშვილი მმართველ პარტიას, ესე იგი, ნაცმოძრაობას ტოვებენ.

25 სექტემბერი – პრეზიდენტის საპარლამენტო მდივან დიმიტრი ქიტოშვილს, რომელიც, ასევე, ოქრუაშვილის გარემოცვის წევრია, გამოძალვის ბრალდებით აპატიმრებენ. იმავე დღეს, შემოსავლების სამსახური ოქრუაშვილის მეგობრის, ქიბარ ხალვაშის ბიზნესსაქმიანობის შესწავლას იწყებს.

25 სექტემბერსვე, ოქრუაშვილი აცხადებს, რომ პოლიტიკურ პარტიას აფუძნებს, რომელსაც „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" არქმევს. პარალელურად, თავდაცვის ექსმინისტრი, რომელიც არცთუ შორეულ წარსულში, სააკაშვილის კარზე ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურად ითვლება, პრეზიდენტს ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯების გადადგმასა და ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის დაკვეთაში ადანაშაულებს.

სიმბოლური დამთხვევა – 27 სექტემბერს, ესე იგი, სოხუმის დაცემის დღეს, ქვეყნის თავდაცვის ყოფილ მინისტრს, ირაკლი ოქრუაშვილს ფულის გამოძალვის, გათეთრების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით აპატიმრებენ.

28 სექტემბერი – პარლამენტის წინ, ოქრუაშვილის გათავისუფლების, ვადამდელი არჩევნებისა და საპრეზიდენტო მმართველობის გაუქმების მოთხოვნით, ათასობით ადამიანი იკრიბება.

29 სექტემბერი – პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ექსმეგობარ ოქრუაშვილზე პირველ კომენტარს აკეთებს და ამბობს, რასაც ოქრუაშვილი მაბრალებს, სიცრუეაო...

8 ოქტომბერი – ოქრუაშვილი სააკაშვილის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებებს უარყოფს და აცხადებს, მინდოდა, ამ ბრალდებებით, მე და ბადრი პატარკაციშვილს პოლიტიკური დივიდენდები მიგვეღოო.

ამასთან, ოქრუაშვილი ფულის გამოძალვასა და სამსახურებრივ გულგრილობასაც აღიარებს. რამდენიმე დღეში, თავდაცვის ექსმინისტრი 10-მილიონიან გირაოს იხდის და საპატიმროს ტოვებს. ისე, საინტერესოა, სახელმწიფო მოხელეს ამდენი ფული საიდან ჰქონდა?!

10 ოქტომბერი – ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი მმართველი პარტიისა და ოპოზიციის დაპირისპირებაში ღიად ერთვება და აცხადებს, ქვეყანაში არსებულმა რთულმა სიტუაციამ, შესაძლოა, მაიძულოს, პოლიტიკაში მოვიდეო.

11 ოქტომბერი – ოქრუაშვილის მხარდამჭერები საზოგადოებას თავდაცვის ყოფილი მინისტრის პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ამცნობენ.

დასასრული მე-4 გვერდზე

წარსული, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ

მე-3 გვერდიდან

17 ოქტომბერი – ათი ოპოზიციური პარტია, რომელიც ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით ერთობლივ კამპანიას აწარმოებს, 12-პუნქტიან მანიფესტს აქვეყნებს.

19 ოქტომბერი – ქუთაისში, ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ აქციაზე ათასობით ადამიანი იკრიბება. ქუთაისის მიტინგი 2 ნოემბერს, თბილისში დაგეგმილი მასობრივი საპროტესტო აქციის ერთგვარი რეპეტიციაა.

22 ოქტომბერი – ათი პარტიისგან შემდგარი კოალიცია პერმანენტულ აქციებზე საგანგებო განცხადებას ავრცელებს.

23 ოქტომბერი – ბათუმში, ოპოზიის ორგანიზებით, რამდენიმეათასიანი აქცია იმართება.

25 ოქტომბერი – საქართველოს გზის, თავისუფლებისა და რესპუბლიკელების ლიდერები – სალომე ზურაბიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და დავით უსუფაშვილი ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენელს, ხავიერ სოლანას ხვდებიან.

28 ოქტომბერი – ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი აცხადებს, რომ ოპოზიციას დააფინანსებს, რათა აქციები „ცივილიზებული გზით“ გამართოს.

იმავე დღეს, ზუგდიდში, ოპოზიციის მიერ გამართული საპროტესტო აქციის შემდეგ, მმართველი პარტიის მხარდამჭერები ორ ოპოზიციონერ დეპუტატსა და ოპოზიციის რამდენიმე აქტივისტს სცემენ.

30 ოქტომბერი – დეპუტატი გიგა ბოკერია აცხადებს, რომ ხელისუფლება, არჩევნების დღესთან დაკავშირებით, კომპრომისზე წასვლას არ აპირებს.

1 ნოემბერი – რეგიონებიდან თბილისში, 2 ნოემბრისთვის დაანონსებულ საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მისაღებად ათასობით ადამიანი ჩამოდის.

2 ნოემბერი – პარლამენტის წინ, ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ აქციაზე ათიათასობით ადამიანი იკრიბება.

იმავე დღეს, ოპოზიციის ლიდერები პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს ხვდებიან. მოგვიანებით, ბურჯანაძე აცხადებს, რომ არჩევნების დღესთან დაკავშირებით, ხელისუფლება კომპრომისზე წასვლას არ აპირებს.

3 ნოემბერი – პარლამენტის წინ საპროტესტო აქცია განახლდა. ოპოზიცია ამბობს, რომ მისი მთავარი მოთხოვნა პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომაა.

7 ნოემბერი – დღის პირველ ნახევარში, პოლიცია პარლამენტის წინ მიმდინარე აქციას ცრემლსადენი აირით, ხელკეტებით, რეზინის ტყვიებით, აკუსტიკური თოფებითა და წყლის ჭავლით შლის.

დაბინდებისთანავე, ნიღბიანი სპეცრაზმელები ტელეკომპანიების – „იმედი“ და „კავკასია“ სტუდიებს არბევენ, რის გამოც, ორივე ტელევიზია მაუწყებლობას წყვეტს.

გვიან ღამით, პრეზიდენტი სააკაშვილი თბილისში საგანგებო ვითარებას აცხადებს.

8 ნოემბერი – დილის 11.00 საათზე, ბათუმის უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე სპეცრაზმი სტუდენტურ აქციას არბევს.

ამასთან, ოფიციალური თბილისი საქართველოდან სამ რუს დიპლომატს აძევებს. ოფიციალური კრემლი საპასუხი ნაბიჯს დგამს და რუსეთიდან სამ ქართველ დიპლომატს აძევებს.

პრეზიდენტი სააკაშვილი ვადამდელ საპრეზიდენტო, საპარლამენტო არჩევნებსა და, ასევე, რეფერენდუმს ნიშნავს.

16 ნოემბერი – საქართველოს მასშტაბით, 7 ნოემბერს დაწესებული საგანგებო მდგომარეობა უქმდება.

სხვათა შორის, 2007 წლის აქციების ერთ-ერთი მთავარი ნარატივი სახელმწიფო დაწესებულებებთან „სირცხვილის კორიდორების“ მოწყობა იყო, თუმცა ოპოზიციამ ჩანაფიქრი სისრულეში ვერ მოიყვანა.

„ხალხი დაიღალა გაუთავებელი ექსპერიმენტებით – ოქრუაშვილი-პატარკაციშვილი. ერთი, არქიფო სეთურივით, ლონდონიდან გვიგზავნის ეპისტოლეებს და გვმოძღვრავს, მეორე კი აქციის დაშლა-არდაშლაზე გველაპარაკება“, – ამბობს საგანგებო ბრიფინგზე თბილისის მერი, გიგი უგულავა.

სისხლიანი 7 ნოემბრის ქრონიკა

2007 წლის 7 ნოემბრის ალიონს თბილისი წვიმით შეეგება – თითქოს, დედაბუნებას ავი წინათგრძნობა ჰქონდა და იმას გლოვობდა, რაც რამდენიმე საათში უნდა მომხდარიყო.

10.00 საათზე, პარლამენტთან მიმდინარე საპროტესტო აქცია ოფიციალურად განახლდება. დაახლოებით, ერთ საათში, დემონსტრანტები გზის სავალ ნაწილზე გადასვლას დაიწყებენ, რასაც სამართალდამცველებთან დაპირისპირება და რამდენიმე პირის დაკავება მოჰყვება.

მედია ელბაქიძის დაღმართსა და „ვარდების მოედანზე“, სპეცდანიშნულების რაზმების მობილიზების შესახებ იუწყება. ასევე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენაერთები მთაწმინდის პარკშიც განლაგდნენ. ამასობაში, ცნობილი ხდება, რომ პატარკაციშვილის კუთვნილი პარკი დალუქულია.

პარლამენტის წინ არსებული ვითარება კულმინაციას 12:30 საათზე აღწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ საპატრულო პოლიცია აქციის დაშლას ხელკეტებით იწყებს.

12:50 საათზე, რუსთაველის გამზირზე სპეცრაზმი გამოჩნდება, რომელიც აქციის მონაწილეების წინააღმდეგ წყლის ჭავლსა და ცრემლსადენ გაზს იყენებს... მოწამვლის, ნევროლოგიური შოკისა და რესპირატორული გზების დამწვრობით, სამედიცინო დაწესებულებებს 250-მდე პაციენტი მიმართავს.

16:00 საათისთვის, საპროტესტო აქცია რიყეზე გადაინაცვლებს, სადაც ხალხს ოპიზიციის ლიდერები მიმართავენ. ამასობაში, აქციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი პარლამენტისკენ იძვრება.

რიყეზე სამხედრო ქვედანაყოფებია მობილიზებული.

პარალელურად, შინაგან საქმეთა სამინისტრო ოპოზიციის ლიდერთა სატელეფონო საუბრებსა და მათი შეხვედრების ვიდეოჩანაწერებს ავრცელებს. ფარულ კადრებში შალვა ნათელაშვილი, ლევან ბერძენიშვილი, კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიები, ასევე, გოგა ხაინდრავა ფიგურირებენ.

შსს-ში აცხადებენ, რომ ოპოზიციის ლიდერები რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურის თანამშრომლებთან კოორდინირებდნენ.

საქართველო რუსეთიდან ელჩს, ირაკლი ჩუბინიშვილს იწვევს. ამასთან, საგარეო უწყებაში რუს დიპლომატ ვიაჩესლავ კოვალენკოს იბარებენ.

17:40 საათზე, რიყეზე აქციის დარბევა იწყება. სპეცრაზმი კვლავ წყლის ჭავლსა და ცრემლსადენ გაზს იყენებს.

მოგვიანებით, ბადრი პატარკაციშვილი საგანგებო განცხადებას ავრცელებს და მომხდარს „ბოლშევიკური პუტჩს“ უწოდებს:

„სიმბოლურია, რომ ზუსტად დღეს, 7 ნოემბერს, ბოლშევიკური პუტჩიდან 90 წლის თავზე, საქართველო ახალ ტრაგედიას განიცდის.

ნურავის შეეპარება ეჭვი, რომ მთელი ჩემი ძალ-ღონე, მთელი ჩემი ფინანსური რესურსი, უკანასკნელი თეთრის ჩათვლით, გამოყენებული იქნება საქართველოს ფაშისტური რეჟიმისაგან გასათავისუფლებლად. საქართველოს გაუმარჯოს!“

მმართველი გუნდი პატარკაციშვილის ამ განცხადებას ხელისუფლების დამხობის პირდაპირ მოწოდებად აღიქვამს.

20:55 საათზე, სპეცდანიშნულების რაზმი ტელეკომპანია „იმედში“ შედის. ტელევიზიასთან მოქალაქეები იკრიბებიან. საპატრულო პოლიცია ხალხს ხელკეტებითა და წიხლებით უსწორდება. ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ტელეკომპანიის მიმდებარე ტერიტორიაზე ცრემლსადენი გაზი გაუშვეს... მოგვიანებით, „იმედის“ ჟურნალისტები იტყვიან, რომ სპეცრაზმის თანამშრომლები სასტიკად ექცეოდნენ – იატაკზე დააწვინეს და იარაღი დაადეს...

რა ქონებას ფლობს პრემიერ-მინისტრი

მაკა რუხაძე

„ქართველი იურისტი, ლექტორი, პროფესორი და პოლიტიკოსი“ – ასეა დახასიათებული საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი კობახიძე ქართულ „ვიკიპედიაში“. თუმცა, აუცილებელია მცირეოდენი შესწორება – კონსტიტუციონალისტი. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ, საქმიანობა 2019 წლის 21 ივნისს, მას შემდეგ შეწყვიტა, რაც მართლმადიდებელი ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის სესიის ჩატარებისას, რუსმა დეპუტატმა სერგეი გავრილოვმა, საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში, პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი დაიკავა. ამის შემდეგ, ირაკლი კობახიძე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერად აირჩიეს. მოგვიანებით, საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის წევრი და უმრავლესობის ლიდერი იყო, შემდეგ კი პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე. სულ ორი-სამი თვეა, რაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრია და რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციებმა მძლავრად იფეთქა. „კანონი გამჭვირვალობის შესახებ“ გახდა ის წყალგამყოფი, რამაც უამრავი ახალგაზრდა ქუჩაში გამოიყვანა...

ირაკლი კობახიძის ქონებრივი დეკლარაცია

პრემიერის ბიოგრაფია

ირაკლი კობახიძე დაიბადა 1978 წლის 25 სექტემბერს. იურიდიული განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1995-2000 წლებში, აგრეთვე გერმანიაში, დიუსელდორფის უნივერსიტეტში, 2002-2006 წლებში, სადაც მიენიჭა სამართლის მაგისტრისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

2000-2001 წლებში, იყო შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საზოგადოებრივი განათლების პროექტის რეგიონული კოორდინატორი; 2005-2012 წლებში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი; 2011-2014 წლებში – კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; 2011-2012 წლებში – ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პროგრამის ექსპერტთა კომიტეტის წევრი; 2011-2012 წლებში – ევროპის საბჭოს წარმომადგენლობა საქართველოში, ექსპერტი სტრატეგიული დაგეგმვის საკითხებში; 2006-2014 წლებში – გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარების პროექტების ექსპერტი და მენეჯერი; 2016-2020 წლებში – საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკიდან „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, პარტიული სიით; 2020 წელს – საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკიდან „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, პარტიული სიით.

2017 წელს, მიენიჭა ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის წოდება. ირაკლი კობახიძე სამართლის დოქტორია; 2014 წლიდან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია, ხოლო 2024 წლის 8 თებერვლიდან – საქართველოს პრემიერ მინისტრი.

ჰყავს მეუღლე – ნატალია მოწონელიძე და ორი შვილი – გიორგი და ნიკო.

კობახიძის ქონება

რაც შეეხება ქონებას, პრემიერ-მინისტრმა ქონებრივი დეკლარაცია ბოლოს 2024 წლის 25 მარტს შეავსო. დეკლარაციის მიხედვით, ირაკლი კობახიძის საკუთრებაშია 157.8 კვადრატული მეტრი ფართობის ბინა წყნეთის გზატკეცილზე, რომელიც 2016 წელს უჩუქებიათ. ამავე მისამართზე, კობახიძის საკუთრებაშია 20 კვადრატული მეტრი ფართობის ავტოფარეხი და დეკლარაციის მიხედვით, ეს ავტოფარეხიც უჩუქებიათ.

ამავე დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ 2020 წელს, 20 000 აშშ დოლარად შეუძენია ავტომობილი Mercedes-Benz S Class, რომელიც 2014 წელს ყოფილა გამოშვებული.

ანაბრის სახით, ირაკლი კობახიძის სახელზე ფიქსირდება 49 500 აშშ დოლარი და დაახლოებით, 12 000 ლარი.

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, წლის განმავლობაში, ირაკლი კობახიძემ, როგორც პარლამენტის წევრმა, ხელფასის სახით 61 168 ლარი მიიღო. თსუ-ში, როგორც სამართლის პროფესორის ხელფასი კი 13 989 ლარია.

დეკლარაციაში მითითებულია, რომ პრემიერის მეუღლე, ნატალია მოწონელიძე მთავრობის დაქვემდებარებაში არსებული სსიპ „საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს თავმჯდომარეობდა“. თუმცა, მას შემდეგ, რაც ირაკლი კობახიძე პრემიერ-მინისტრი გახდა, ნატალია მოწონელიძემ თანამდებობა დატოვა. მიუხედავად ამისა, დეკლარაციაში, რომელიც კობახიძემ 25 მარტს შეავსო, მითითებულია, რომ მისმა მეუღლემ, ვიდრე თანამდებობას დატოვებდა, ხელფასის სახით 77 616 ლარი მიიღო. პარალელურად, ნატალია მოწონელიძე თსუ-ს პროფესორიცაა, სადაც 11 472 ლარის შემოსავალი მიუღია.

ქონებრივი დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ შვილების სწავლის საფასურის სახით, წლის განმავლობაში, ირაკლი კობახიძემ 18 000 ლარზე მეტი გადაუხდია, ხოლო გიორგი კობახიძის ენის კურსის გადასახადი 2 860 ბრიტანული ფუნტი ყოფილა.

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა იუსტიციის სამინისტრო შეამოწმა. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2022 წლის მთლიან პერიოდს ეხება. როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო აუდიტორებმა მთელი რიგი ფინანსური დარღვევები გამოავლინეს, მათ შორის, ინვენტარიზაციაში, მატერიალურ მარაგებში, ძირითად აქტივებში, ვალდებულებებსა და შემოსავლებში.

დარღვევები ინვენტარიზაციაში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ იუსტიციის სამინისტროს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში – „მოკლევადიანი მიმდინარე დებიტორული დავალიანებები“ და „სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივები“, ჯამურად, 101 335 808 ლარს შეადგენს. სახელმწიფო აუდიტორებმა გამოავლინეს, რომ საჯარო რეესტრის სააგენტოს 2022 წელს მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩაუტარებია. ამასთან, მოთხოვნებში ასახულია 2011-2018 წლებში წარმოშობილი 949 296 ლარის ოდენობის დავალიანება, რომლის მიღების ალბათობა მცირეა.

„საჯარო რეესტრის სააგენტოს საგადასახადო აღრიცხვის ბარათზე არსებული მოთხოვნის ნაშთი, ჯამურად, 1 908 630 ლარით ნაკლებია 2022 წლის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ საგადასახადო მოთხოვნების ნაშთზე.

პენიტენციური სამსახურის ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისით“, აღრიცხულია 148 653 ლარი, რომელიც წარმოადგენს სპეციფიკური მარაგების დანაკლისს და მისი მიღების ალბათობა მცირეა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მოთხოვნების“ მუხლი გაზრდილია 3 006 579 ლარით.

დარღვევები მატერიალურ მარაგებში

იუსტიციის სამინისტროს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში – „მატერიალური მარაგების“ ნაშთი 30 627 892 ლარს შეადგენს. აუდიტის შედეგად, გამოვლინდა, რომ საჯარო რეესტრის სააგენტოსა და სერვისების სააგენტოს ერიცხება სულ 215 792 ლარის საბალანსო ღირებულების სხვადასხვა ტიპის მარაგი, რომლებსაც სააგენტოები არ იყენებენ და არც მომავალში აქვთ გამოყენების პოტენციალი. შესაბამისად, არ აკმაყოფილებენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

„საჯარო რეესტრის სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს 420 000 ლარამდე ოდენობის მცირეფასიანი აქტივი და მარაგი, რომელიც საჭიროებს კლასიფიკაციას ძირითადი აქტივების ანგარიშზე. ამასთანავე, ზოგიერთი შემთხვევაში, ერთი და იმავე ტიპის აქტივებთან მიმართებით გამოყენებულია არაერთგვაროვანი მიდგომა.

პენიტენციური სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 545 435 ლარის მარაგები, რომელთა გამოყენება არ იგეგმება და არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს“.

გარდა ამისა, საჯარო რეესტრის სააგენტოს მიერ 19 658 ერთეული მარაგი ღირებულების გარეშეა აღრიცხული. ამასთან, სააგენტო ფლობს გამოუყენებელ მარაგებს, რომელთა მიმართებითაც არ ჩაუტარებია მარაგების გაუფასურების ანალიზი.

შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ „მატერიალური მარაგების“ მუხლი, 2022 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაზრდილია 1 181 227 ლარით.

დარღვევები ძირითად აქტივებში

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ იუსტიციის სამინისტროს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რიგ შემთხვევებში, გრძელვადიანი აქტივები კლასიფიცირებულია არასწორად. კერძოდ, სერვისების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 627 000 ლარის ღირებულებაზე მეტი „პროგრამული უზრუნველყოფა ნაცვლად არამატერიალური აქტივებისა“, ასახულია „სხვა მანქანა-დანადგარების“ ანგარიშზე.

„იუსტიციის სახლში, ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მანქანა-დანადგარების“ ანგარიშებზე, ნაცვლად „არამატერიალური აქტივების“ ანგარიშისა, ასახულია 229 692 ლარი.

პენიტენციური სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 466 033 ლარიც

დასასრული მე-7 გვერდზე

რა სახის ფინანსური დარღვევები გამოვლინდა იუსტიციის სამინისტროში

მე-6 გვერდიდან

დარღვევები შემოსავლებში

იუსტიციის სამინისტროს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში – „შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან“ შეადგენს 235 648 612 ლარს. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ აღსრულების ბიუროს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი შემოსავლებიდან 765 777 ლარის წარმოშობის თარიღია 2021 წელი, ან წინა წელი. შესაბამისად, არ წარმოადგენს მიმდინარე წლის შემოსავალს; ასევე 2022 წელს გამომუშავებული შემოსავლების ნაწილი – 396 807 ლარი, არ არის აღიარებული 2022 წლის ანგარიშგებაში. გარდა ამისა, ბიუროს მიერ საფასურიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება საკასო მეთოდით.

„სერვისების სააგენტოსა და საჯარო რეესტრის სააგენტოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით, მათ მიერ 2022 წელს მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავლებმა, დღგ-ის გარეშე, შესაბამისად, 106 388 551 ლარი და 86 735 049 ლარი შეადგინა.

სააგენტოებში არ არსებობს შესაბამისი სისტემა, რომლის მეშვეობითაც ინტეგრირებული იქნება ინფორმაცია მომხმარებლის მიერ წინასწარ გადახდილი საფასურების და ფაქტობრივად გაწეული მომსახურებების შესახებ, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა შემოსავლების დარიცხვის მეთოდითაღრიცხვას და შექმნიდა კონტროლის მექანიზმს იმ მიზნით, რომ სააგენტოები დარწმუნდნენ მიღებული შემოსავლებისა და მიღებული ავანსების სისრულეში.

აუდიტის შედეგად ბილინგის სისტემაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირებულია, დაახლოებით, 1 008 284 ლარის განაცხადი, რომელსაც აქვს სტატუსი – „მიმდინარე“. შესაბამისად, თანხა 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ნაცვლად შემოსავლისა, უნდა აღიარდეს, როგორც კრედიტორული დავალიანება (მიღებული ავანსი)“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „შემოსავლების“ მუხლი გაზრდილია 368 970 ლარით, ხოლო კრედიტორული დავალიანების (მიღებული ავანსი) საბოლოო ნაშთი პირიქით – შემცირებულია 1 008 284 ლარით.

კონტროლის ნაკლოვანებები

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2022 წელს, იუსტიციის სახლის ერთ-ერთმა თანამშრომელმა გამოიყენა ორგანიზაციის ბარათი საწვავის პირადი მოხმარებისთვის. საკითხი გადაეცა საგამოძიებო ორგანოს დამატებითი მოკვლევის მიზნით, რის შემდგომაც აღნიშნულმა თანამშრომელმა აანაზღაურა იუსტიციის სახლისთვის მიყენებული ფინანსური ზარალი და დატოვა თანამდებობა. აღსანიშნავია, რომ ფაქტის გამოვლენის შემდგომ ორგანიზაციაში დაინერგა შესაბამისი კონტროლის მექანიზმები.

„სერვისების სააგენტოში, 2022 წელს, გამოვლინდა 200 ცალი მკაცრი აღრიცხვის ბლანკის დანაკლისი. ობიექტის განმარტებით, საკითხი დამატებითი მოკვლევის მიზნით გადაეცა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. სამინისტროს განმარტებით, 2022 წლის ოქტომბრიდან კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით დანერგილია დამატებითი კონტროლის მექანიზმები.

საჯარო რეესტრის სააგენტოს მიერ აღრიცხული აქტივების იდენტიფიცირება ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით გართულებულია. კერძოდ, არ არსებობს ერთიანი რეესტრი ბუღალტრულად ასახული ფასეულობების მიხედვით, ვერ დგინდება ზუსტი საიდენტიფიკაციო კოდები, რაც ასევე აფერხებს ინვენტარიზაციის პროცესს. ამასთან, ჩვენ მიერ ჩატარებული შერჩევითი ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა გამოუსადეგარი 67 000 ლარის მარაგები. სააგენტოს არ აქვს ლოგისტიკური აღრიცხვის შესაბამისი პროგრამა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობების სრულყოფილ აღრიცხვას, იდენტიფიცირებას და კონტროლს“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ პენიტენციურ სამსახურში დანერგილი კონტროლის მექანიზმები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მედიკამენტების მიღებისა და გახარჯვის ოპერაციების თანმიმდევრულ აღრიცხვას. კერძოდ, მედიკამენტების ნაშთების კონტროლისთვის არ არის დანერგილი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. მარაგების კონტროლის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობს ადამიანური ფაქტორი გამოწვეული შეცდომის დაშვების რისკი.

„აღსრულების ეროვნულ ბიუროში, 2022 წელს, შრომის ანაზღაურების გაანგარიშებადი კომპონენტის გაცემა ხასიათდებოდა კონტროლის ნაკლოვანებებით. კერძოდ, აღმასრულებლის მიერ ჩარიცხული საფასურის შესახებ ინფორმაცია ბუღალტერიას რიგ შემთხვევაში მიეწოდებოდა დაგვიანებით, რაც წარმოშობს დროში გამიჯვნის პრობლემას. გარდა ამისა, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც საფასურის განაწილება არ მიმდინარეობდა განკარგულების შესაბამისად.

სამინისტროს მასშტაბით გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც საწვავის მომწოდებელ კომპანიებს ჰქონდათ პროგრამული ხარვეზი საწვავის ჩასხმის კუთხით. შედეგად, აგაის ამონაწერში მომწოდებელი კომპანიის მიერ მანუალურად მოხდა მონაცემების ჩასწორება. აღსანიშნავია, რომ გახარჯულ საწვავთან მიმართებით, ორგანიზაციებს სხვა კონტროლის მექანიზმები არ აქვთ დანერგილი, რაც ზრდის თანხების ზედმეტად გადახდის რისკს“.

სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ საჯარო რეესტრის სააგენტოს მიერ, 2022 წელს, მიწის რეგისტრაციის ხელშეწყობის პროგრამიდან შეძენილი 706 050 ლარის აქტივები გადაცემულია სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაზე. გარდა ამისა, აუდიტორებმა ობიექტისგან ვერ მიიღეს სათანადო განმარტება, როგორ შესრულდა პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრთ, მკვიდრთ ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ:
„თქვა ... იესომ: მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ვინც მე მიწამებს, თუნდაც რომ მოკვდეს, იცოცხლებს.“ (ინ.11.25)
აღსრულდა უფლის განკაცების დიადი საიდუმლოს მთავარი მიზანი – ქრისტე აღდგა!
ენით გამოუთქმელი და მიუწვდომელი ეს სასწაული თითოეული ადამიანის გულამდე აღწევს და საყოველთაო სიხარულით აღვსილნი ვხმობთ:
ქრისტე აღდგა!
ჭეშმარიტად აღდგა!

სააღდგომო ეპისტოლე

საღვთო და ადამიანური ბუნების მქონე ძე ღვთისა და ძე კაცისა, მაცხოვარი სოფლისა და განმაახლებელი სამყაროსი, იშვა რჩეული ერის, ისრაელის წიაღში.

ადამიანური ბუნებით იგი მოიცავდა მთელ კაცობრიობას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ არ ჰქონდა ცოდვა ისევე, როგორც ადამს, ცოდვით დაცემამდე.

მას მეორე ადამადაც სახელდებენ, რადგან არც ადამს ჰყავდა ხორციელი მამა და არც იესოს; პირველი ადამი მიწისგან შეიქმნა და შემოქმედისგან სული შთაებერა, მეორე – წმინდა ქალწულ მარიამისგან სულიწმინდით მოევლინა ქვეყანას. პირველი ადამის შეცოდებით სამოთხე დავაკარგეთ და სიკვდილსა და ხრწნილებას დაედო სათავე, ხოლო მეორე ადამმა – ქრისტემ, ცოდვისა და სულიერი სიკვდილისაგან გვიხსნა, მარადიული სიცოცხლე მოგვანიჭა და სამოთხის კარი კვლავ განგვიღო.

განკაცებულმა უფალმა განაახლა ჩვენი დაცემული ბუნება და აღგვიდგინა ცოდვით შებღალული თავდაპირველი ხატება ღვთისა. ამასთან, მან გვიჩვენა მაგალითი იმისა, თუ როგორი ურთიერთობა უნდა გვქონდეს ერთმანეთთან და ღმერთთან, რათა დასაბამისეული განგებულება ყოვლადწმინდისა სამებისა ჩვენში გაცოცხლდეს და აღორძინდეს.

* * *

სულ რაღაც სამწელნახევრის მანძილზე, იესო ქრისტემ თავისი ქადაგებებით მრავალი მიმდევარი შეიძინა, თუმცა მისი მაცხოვნებელი სწავლება ყველამ სიხარულით როდი მიიღო. ზოგი ეჭვით უყურებდა, ზოგიც გმობდა. თავად უფალი კი, განგებულების შესაბამისად, გარკვეულ ჟამამდე განერიდებოდა ხოლმე მათ და განკურნებულებს, მკვდრეთით აღდგინებულებს, აგრეთვე, ფერისცვალების სასწაულის მხილველ მოწაფეებს და თვით ბოროტ სულებსაც უკრძალავდა, გარკვეულ დრომდე, მესიად საჯაროდ ეღიარებინათ; სიტყვანი და საქმენი მისნი კი მაინც თავისთავად მოწმობდა, ვინ იყო იგი.

უფალთან ურთიერთობისას ადამიანები გრძნობდნენ, რომ არამიწიერთან და, ამავე დროს, მშობლიურთან ჰქონდათ შეხება და მუდამ არჩევანის წინაშე დგებოდნენ – მიეტოვებინათ ძველი ცხოვრების წესი, ეზრუნათ სულიერ განწმენდაზე, როგორც ამას მაცხოვარი ქადაგებდა, თუ დარჩენილიყვნენ ცოდვაში და ძველებური ყოფა გაეგრძელებინათ.

იერუსალიმში დიდებით შესვლამდე, უარყოფითად განწყობილნიც კი, მართალია, ზოგჯერ დრტვინვით, მაგრამ უფრო ხშირად ინტერესით უსმენდნენ მაცხოვარს; თუმცა ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს აღდგინების შემდეგ, როცა მთელმა ერმა პატივი მიაგო მას, როგორც მესიასა და მაცხოვარს და ჩვილებმაც კი სასწაულებრივად იგალობეს მხსნელის სადიდებელი: „ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს უფლის სახელით მომავალი მეფე ისრაელისა“ (ინ. 12.13) – , ვითარება რადიკალურად შეიცვალა; უფალი უკვე ყველას შეეხო და როგორც საერონი, ისე, განსაკუთრებით, სასულიერო დასი არჩევანის წინაშე დადგა – ან უნდა მიეღოთ იგი მესიად, ან უარეყოთ.

დაპირისპირებულმა ძალამ მისი სიკვდილით დასჯა განიზრახა.

მოვლენები უსწრაფესად განვითარდა.

ქრისტე შეიპყრეს ხუთშაბათს, ღამით, როდესაც მოსახლეობა პასექის ზეიმისთვის ემზადებოდა. პარასკევს, გამთენიისას, გაასამართლეს, განაჩენი გამოუტანეს და იმავე დღეს ჯვარს აცვეს.

პასექის დღესასწაულთან დაკავშირებით, დამკვიდრებული ჩვეულებისამებრ, პილატეს სასამართლომდე ერთი ბრალდებულის შეწყალება იყო შესაძლებელი. მღვდელმთავრებისა და უხუცესების მიერ წაქეზებულმა ხალხმაც იესო ქრისტეს ბარაბა ამჯობინა...

* * *

იმ დროისათვის იუდეა რომის იმპერიას ექვემდებარებოდა, რის გამოც მაცხოვრის მთავარ ბრალმდებლებს, სინედრიონის წევრებს, იგი რომაელ პროკურატორთან, პილატესთან უნდა მიეყვანათ, რადგან რომის ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე, ჩამორთმეული ჰქონდათ სიკვდილის განაჩენის გამოტანის უფლება; ამასთან, უფლის უკიდურესი შეურაცხყოფის მიზნით, მისი სიცოცხლის ხელყოფა ჯვარცმით – დასჯის ყველაზე დასაძრახი რომაული წესით ჰქონდათ განზრახული.

გარდა პილატესი, იგი მეოთხედმთავარსაც, იუდეის მეფე ჰეროდესაც მიჰგვარეს. ასე რომ, უმოკლეს დროში მოხდა იესო ქრისტეს წარდგენა სამ მმართველ ძალასთან:

იუდეველმა მღვდელმთავარმა კაიაფამ ბრალად დასდო მოსეს რჯულის დარღვევა და ღვთის თანასწორად თავის მიჩნევა.

წარმოშობით იდუმიელმა მეფე ჰეროდემ, რომელიც არ იყო დავითის შთამომავალი და ტახტის დაკარგვის შიში მუდამ ჰქონდა, იუდეველთათვის აღთქმულ ცრუ მეფედ მიიჩნია იგი და დამცირების მიზნით, თავის მოსასხამმოცმული, საბოლოო მსჯავრისთვის პილატეს გაუგზავნა.

პროკურატორ პილატეს არ სურდა ქრისტეს დასჯა, მაგრამ მაინც ანგარიში გაუწია სინედრიონის, ჰეროდესა და მასთან წარმოდგენილი ხალხის პოზიციას და იმის შიშით, რომ არ დაეწამებინათ უძლეველი რომის კეისრის ძალაუფლების შემცილებლის დაცვა (ეუბნებოდენ, იესო თავს ამქვეყნიურ მეფედ აცხადებსო), აღარ შეეწინააღმდეგა მოთხოვნას – ჯვარს ეცვათ იგი.

სამწუხაროდ, ვერცერთმა ხელისუფალმა ვერ შეიცნო მასში ზეციური მეუფე, სიბრძნე და ჭეშმარიტება, ნათელი და სიცოცხლე, სიყვარული და უმწვერვალესი თავმდაბლობა, რადგან მიწიერ გულისთქმებს შედგომილნი არ ესწრაფოდნენ ღვთის სამართლს და საკუთარ სიმართლეს მინდობილნი, უფლის სიმართლეს არ დაემორჩილნენ (შდრ. რომ. 10.3). „ამაონი იქმნენ თავიანთი ზრახვით და დაბნელდა მათი უგონო გული; ბრძენკაცებად მოჰქონდათ თავი და შლეგებად იქცნენ“ (რომ. 1.21-22), უსამართლო ბრალი დასდეს მაცხოვარს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს თავად სიმართლეს, სიცოცხლესა და ჭეშმარიტებას.

ერთი შეხედვით, მიწიერმა სამართალმა გაიმარჯვა და ადამიანური ლოგიკით, ჯვარცმის შემდეგ იესოსადმი რწმენა უნდა განელებულიყო, მაგრამ სინამდვილე საპირისპირო აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირება სიმართლესა და უსამართლობას, ზეციურ და მიწიერ აზროვნებას შორის დღემდე გრძელდება და ხალხის არჩევანიც მაცხოვრისა და ბარაბას მიმართ კვლავ სასწორზე დევს, სიმართლით შენიღბული სიცრუე და ბოროტება ვერ ფარავს ქრისტეს სახარების ჭეშმარიტებას და იგი, ღვთის მადლითა და ძალით, მთელს მსოფლიოში კვლავაც ვრცელდება და იქადაგება.

* * *

მეტად მნიშვნელოვანია ზემოთქმულის სულიერი მხარე:

როგორც ვიცით, შემოქმედი სასჯელით გვსჯიდა, როცა ხედავდა, როგორ ვეფლობოდით ცოდვაში და

დასასრული მე-15 გვერდზე

სამართალი

№12 15 მაისი 2024 წ

დავა ქონებისთვის და დედამამიშვილისთვის დაგებული კრიმინალური ხაფანგი

როგორ ცდილობდა ძმა ძმის მოცილებას

ბათო ჯაფარიძე

სოციალურ სიდუხჭირეს ნუ დააბრალებთ, ეს ყველა ქვეყანაში ხდება, როცა საქმე ქონების გადანაწილებას ეხება. ასე იყო ადრეც, ასეა ახლაც და ასე იქნება მომავალშიც. ყველაფერი კი, ერთი შეხედვით, ძალიან მარტივად დაიწყო. განყოფილებაში ახალგაზრდა ქალი მივიდა და განაცხადა, რომ მის საქმროს თავს დაესხნენ და მოკვლა სცადეს. დაზარალებული საავადმყოფოში იყო გადაყვანილი და რაღა თქმა უნდა, გამომძიებლებიც სწორედ იქ წავიდნენ.

„ეს კაცი ღამით მოიყვანეს, როგორც თავად თქვა, მაღაზიასთან იდგა, საცოლეს ელოდა, რომელიც მაღაზიაში რაღაცის საყიდლად იყო შესული. ამ დროს, საიდანღაც მანქანა გამოვარდა, ტროტუარზე ავარდა, კაცს მუხლზე დაარტყა და მიიმალა. უფრო ზუსტად, ეს კაცი ამტკიცებს, გვერდზე გავხტი, თორემ გადამივლიდაო“, – სულ ეს იყო, რაც ექიმმა სამართალდამცავებს უთხრა.

რაც შეეხება დაზარალებულს, მას ახალი არაფერი დაუმატებია. მუქი ფერის ავტომობილი ოყო, ნომერი არ დამიმახსოვრებია და არც მძღოლის სახე დამინახავსო. რაც შეეხება საცოლეს, ის მაღაზიაში შევიდა, კაცი სიგარეტს ეწეოდა და ამიტომ არ შეჰყვა, ყველაფერი კი წამებში მოხდა. ექიმი ადასტურებდა, რომ დარტყმა მართლაც ძლიერი იყო და მანქანას მუხლს ზემოთ ანუ წელის არეში რომ დაერტყა, შესაძლოა, ძალიან მძიმე შედეგი დამდგარიყო. როგორც დაზარალებული ამბობდა, მას კარგი სამსახური ჰქონდა, დაწინაურების პერსპექტივით და ამიტომ, ეჭვი ჰქონდა, რომ შესაძლებელი იყო, რომელიმე თანამშრომელს ჰქონოდა სურვილი მოეკლა, რათა მისი ადგილი დაეკავებინა. ერთი შეხედვით, ეს არარეალური გახლდათ, მაგრამ თანამშრომლების შემოწმება მაინც გადაწყდა. ამასთან, გამოძიებამ მთლიანად მისი ოჯახის შემოწმება გადაწყვიტა, თუმცა ბევრი საინტერესო ამ მიმართულებით აშკარად არ ჩანდა. მას ერთი ძმა ჰყავდა, დედა გარდაცვლილი იყო და ეტლში მყოფ მამას სწორედ ძმა უვლიდა. მოხუცმა შვილის თავს გადამხდარი ისტორია იცოდა და თავს ნერვიულად აქნევდა, სულ ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, მისი ნიჭის შეშურდებოდათო. ექიმების ვარაუდით, მოხუცს დაახლოებით სამი თვე ჰქონდა დარჩენილი და უმცროსი შვილი ყველაფერს აკეთებდა, მამისთვის ბოლო დღეები რომ შეემსუბუქებინა. აი, სამსახურს რაც შეეხება...

„უსინდისოა ეგ კაცი, დაზარალებული კი არა. სამსახურში ძმაკაცმა მოიყვანა და როცა საქმე საქმეზე მიდგა, ძმაკაცი ჩაუშვა, სამსახურიდან გააგდებინა, მის ადგილზე მოჯდა და ახლა დაწინაურებისთვის იბრძვის. ვინმე მოკვლას ეცდებოდა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ მისი სიკვდილი რომ არავის ეწყინებოდა, ეს ნაღდია“, – განაცხადა ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

სანამ გამომძიებლები დაზარალებულის გარემოცვის შესწავლას აგრძელებდნენ, საავადმყოფოდან მორიგი, საგანგაშო ამბავი მოვიდა – მამაკაცის მოკვლა კლინიკაშიც სცადეს. უფრო კონკრეტულად კი, წვენში, რომელიც მას საცოლემ მიუტანა, საწამლავი აღმოჩნდა.

„პაციენტმა თავი ცუდად იგრძნო, მერე გული აერია, მერე – გრძნობა დაკარგა და ამის შემდეგ სასწრაფოდ ანალიზები ავუღეთ, შესაბამისი პროცედურები ჩავუტარეთ და შეიძლება ითქვას, გადავარჩინეთ. უფრო ზუსტად კი, ის საავადმყოფოში რომ არ ყოფილიყო, ალბათ, ვერ გადარჩებოდა, საავადმყოფოში კი, ნებისმიერი დილენანტიც კი მოახერხებდა მისთვის კუჭის ამორეცხვასა და დიდი ოყნის გაკეთებას. მერე ვკითხეთ, რა მიიღო და გვითხრა, მხოლოდ წვენი დავლიეო და ის წვენი დილით საცოლემ მოუტანა“, – ასეთი იყო ექიმის განცხადება.

რა თქმა უნდა, სამართალდამცავები, პირველ რიგში, საცოლის ადგილსამყოფელით დაინტერესდნენ, მაგრამ მისი დანაშაულში მონაწილეობა თავად დაზარალებულმა გამორიცხა, აქაოდა, წვენი კი მან მოიტანა, მაგრამ, გაუხსნელი იყო და მხოლოდ მაშინ გავხსენი, როცა წავიდაო. სასმელი შუშის ჭურჭელში იყო, რკინის თავსახურით და ძალიან ძნელი იქნებოდა, იქ შხამი შეუმჩნევლად შეეშვათ. შესაბამისად, გოგონას მონაწილეობა გამოირიცხა, თუმცა დაზარალებულმა თქვა, როცა სასმელი მოვსვი, არაფერი მიგრძვნია, მერე ჯერ ექთანი შემოვიდა პალატაში, მის შემდეგ – ჩემი ძმა და აი, ძმა რომ წავიდა და წვენი ისევ რომ დავლიე, ცუდად მაშინ გავხდიო. გამოდიოდა, რომ საწამლავი ბოთლში ექთანმა, ან ძმამ ჩაყარა, მაგრამ რაში უნდა დასჭირვებოდა ერთს, ან მეორეს ამის გაკეთება? ექიმმა ექთნის მონაწილეობა გამორიცხა, წლებია ჩვენთან მუშაობს და მეეჭვება, რაიმე ინტერესი ჰქონოდაო, აი, ძმას კი... როგორც გაირკვა, მამა ბინას უფროს შვილს უტოვებდა და უმცროსს ყველაფრის გარეშე ტოვებდა. ძმის სიკვდილის შემთხვევაში კი, ბინა მას დარჩებოდა, რადგან უფროს ძმას, არც ცოლი ჰყავდა (ჯერჯერობით), არც შვილი. ამასობაში, გამომძიებლებს იმ საწამლავის სახელიც წამოეწიათ, რომელიც ბოთლში იყო ჩაყრილი. ძალოვნები დაზარალებულის ძმას სახლში დაადგნენ და როცა მისვლის მიზეზი უთხრეს, მან მხრები აიჩეჩა, სულ რაღაც 3-4 წუთით შევედი, მისვლა თავად მთხოვა, იმ მაისურის მიტანა დამავალა, რომელიც წლებია, ჩვენთან დევს და არ მოუკითხავსო. როცა ჰკითხეს, რა ეცვა, როცა კლინიკაში იმყოფებოდა, საკიდზე დაკიდებული პიჯაკი და ჯინსის შარვალი დაანახა. პიჯაკის ჯიბეში ძალოვნებმა რაღაც ფხვნილის ნაწილაკები ნახეს, რომელიც ექსპერტიზაზე გაგზავნეს და... ექსპერტიზას არ გასჭირვებია იმის დადგენა, რომ ჯიბეში აღმოჩენილი საწამლავი წვენში ჩაყრილის იდენტური იყო. უმცროსი ძმა დააკავეს და ბრალი მკვლელობის მცდელობისთვის წაუყენეს, მოტივი კი... მოტივი ადვილი მისახვედრი იყო – მას სურდა, რომ მამისგან სამოთახიანი ბინა დარჩენოდა. ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ ძმის მკვლელობა, სწორედ ძმამ სცადა და ის დააკავეს, თუმცა...

„აქ ერთი საინტერესო დეტალია, უფრო სწორად, ძალიან საინტერესო. მაშინ, როცა დაზარალებულის მოკვლა მანქანით სცადეს, მთავარი ეჭვმიტანილი სახლში იყო და ამას მამა ადასტურებს, ის მამა, რომელიც მზად არის, შვილზე უარი თქვას იმის გამო, რომ ძმის მკვლელობას აპირებდა. რა გამოდის? საწამლავი მან ჩაუყარა და ავტომობილით სხვა დასდევდა მოსაკლავად? ლოგიკაში არ ჯდება ყველაფერი ეს“, – თქვა გამომძიებელმა და სხვებიც დაეთანხმნენ.

სამართალდამცავებმა იმსჯელეს და 48 საათის გასვლის შემდეგ, სასამართლოს მთავარი ბრალდებულისთვის გირაოს შეფარდების თხოვნით მიმართეს, თანაც გირაო მხოლოდ ორი მეგობრის თავდებობით შემოიფარგლებოდა და თანხა არ იყო გადასახდელი. ამ გადაწყვეტილებამ ყველა გააოცა, მაგრამ ისე ჩანდა, გამოძიებას რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული. ძალოვნებმა თვალთვალი, როგორც ბრალდებულზე, ისე... დაზარალებულზე დააწესეს. დაზარალებული ძიების ქმედებით ძალიან გაბრაზებული იყო, მაინცდამაინც უნდა მომკლანო, ხმამაღლა ყვიროდა, თუმცა მას არავინ მოუსმინა.

დაახლოებით, ერთი კვირის შემდეგ, დაზარალებული სამსახურიდან შეღამებულზე გამოვიდა. მას ორი ოპერმუშაკი უთვალთვალებდა და როცა მამაკაცი სამსახურის უკან, კუთხეში მიიმალა, თან გაჰყვნენ, სილუეტს ხედავდნენ, მაგრამ ახლოს არ მისულან. კაცმა ჯერ ტანსაცმელი შემოიხია, შემდეგ უკან დაიხია და კედელს დაეჯახა, ჯერ მკერდით, მერე გვერდიდან, ბოლოს კი, კედელს თავი დაარტყა და დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ კაცი ბარბაცით ჩაიკეცა. ცოტა ხანში, აზრზე მოვიდა, ფეხზე წამოდგა, ტანსაცმელი კიდევ რამდენიმე ადგილას გახია და მიწაზე დაწვა, შემდეგ, ფოფხვით გამოვიდა გზამდე და ყვირილი დაიწყო. პირველები მასთან სწორედ ოპერმუშაკები მივიდნენ. რა თქმა უნდა, მან ოპერები ვერ იცნო და ამიტომ, ბოლო ხმაზე შებღავლა, მოკვლას მიპირებდნენ, მგონი ჩემი ძმა იყო და ახლავე სასწრაფო გამოიძახეთო. ოპერებმა მამაკაცი ავტომობილში ჩასვეს და განყოფილებაში მიიყვანეს. იმ თანამშრომლებმა, რომლებიც უმცროს ძმას უთვალთვალებდნენ, თქვეს, რომ იმ დროს, მათი ობიექტი, შეყვარებულს ხვდებოდა და სკვერში, სკამზე ესაუბრებოდა. დაკავებულ დაზარალებულს გამომძიებლებმა მაგიდაზე ის დასკვნა დაუდეს, რომლის მიხედვითაც, საწამლავის ნაწილაკები მისი პიჯაკის ჯიბეშიც იპოვეს ანუ საწამლავი მასაც ჰქონდა და შეეძლო, საკუთარი თავი მოეწამლა ზუსტად ისე, როგორც ვიღაცისთვის ავტომობილის მცირედით დაჯახება ეთხოვა.

„ვერ ვიტან.. ვერც მამაჩემს ვიტან და ვერც ჩემს ძმას. გამოჭიმულან სამოთახიან ბინაში უსაქმური და ბებერი ყრუ, რომელიც დღე-დღეზე მოკვდება. ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ მამამ რაც უნდა დაწეროს, ძმას წილი ეკუთვნის. ამიტომ მოვიფიქრე ჩემზე თავდასხმის გეგმა, ჰო, საკუთარ თავს თავადვე ვაზიანებდი, არც მანქანა დამჯახებია, ფეხი ძლიერად მივარტყი ბეტონის კედელს, საწამლავიც ჩემით ჩავიყარე ის დოზა, რომელიც არ მომკლავდა და ჩემი ძმა რომ დაგეჭირათ, მე ბინა უპრობლემოდ დამრჩებოდა“, – დაკავებული კი არ საუბრობდა, ბოლო ხმაზე ყვიროდა.

სასამართლომ „მონდომებულ“ კაცს „კარგად გაუგო“ და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ვინ არის ახალგაზრდა მეცნიერი, რომელსაც ქუჩაში ესროლეს

„სიცოცხლის ელექსირის“ სისხლიანი საიდუმლო

ბათო ჯაფარიძე

საბჭოთა კავშირის დროს, ერთი უცნაური რამ ხდებოდა... არა, უცნაური ბევრი ხდებოდა, მაგრამ ეს მიმართულება განსაკუთრებით გამოირჩევა. ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც რაღაცის გამოგონებას ცდილობდნენ, მაშინვე ექცეოდნენ უშიშროების კომიტეტის ყურადღების ცენტრში. თუ გამოგონება სამხედრო თემას ეხებოდა, გამომგონებლები უბრალოდ ქრებოდნენ. მოარული ხმების მიხედვით, მათ საიდუმლო ობიექტებზე ამუშავებდნენ. თუ რიგითი გამოგონება იყო, ისეთი, რომელიც საზოგადოების ინტერესს გამოიწვევდა, მაგრამ ზიანს არც ხალხს მოუტანდა და არც გარეშე მტრებს (მაგალითად, მექანიკური სათამაშოს ელექტრო სათამაშოდ გადაკეთება), ხმაურს ატეხდნენ, გამომგონებელს გაზეთში გამოჭიმავდნენ, პრემიას აძლევდნენ და ეს პრემია, ძირითადად, 500 მანეთი იყო. მერე პატენტი სახელმწიფოს მიჰქონდა და გამომგონებელი მშრალზე რჩებოდა. ამის მიუხედავად, ადამიანები არ ჩერდებოდნენ, ეძებდნენ, იგონებდნენ, აგზავნიდნენ...

„იცით, მე გამომგონებელი ვარ. ახლა წამალს ვიგონებ, რომელიც ადამიანის დაბერებას შეაჩერებს და თუ მას რეგულარულად მივიღებთ, ყველაზე ცოტა, თითოეული ჩვენგანი 120 წლამდე იცოცხლებს. მთავარია, დოზები სწორად იქნას შერჩეული და რაც მთავარია, ყველას ინდივიდუალური მოდგომა სჭირდება“, – მილიციის განყოფილებაში მისული ახალგაზრდა კაცი დაბერებულს ჰგავდა, ცხვირზე უზარმაზარი სათვალე ჰქონდა წამოსკუპებული, დასაუთავებელი პერანგი და აშკარად გრძელი კოსტიუმი ეცვა, ან ვიღაცის ნაჩუქარი იყო, ან მაშინ იყიდა, როცა ათი კილოთი მეტს იწონიდა. გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს და მხრები აიჩეჩეს, ჩვენ რა შუაში ვართო და მოსულმაც თითით სათვალე გაისწორა, მერე უხერხულად გაიღიმა და განაგრძო:

„ლაბორატორიაში, სადაც ვმუშაობ, კიდევ ახალგაზრდა ქლი მუშაობს, რომელიც მე ძალიან მიყვარს. ვფიქრობ, ისიც არ არის ჩემს მიმართ გულგრილი, მაგრამ ჯერ ვერ ვეუბნები. თანაც, ჯერ მზად არ ვარ ცოლის მოსაყვანად, გამოგონებაზე მუშაობა უნდა დავასრულო, მერე ექსპერიმენტები დავიწყო და პირველ ექსპერიმენტს საკუთარ თავზე ჩავატარებ. ეს ასე, 4-5 წელს წაიღებს და მერე ცოლის მოყვანასაც მოვახერხებ ანუ ჯერ ამის დრო არ მაქვს“, – თქვა სტუმარმა და ისევ გაჩერდა. ძალოვნები უფრო დაიბნენ, მხრები აიჩეჩეს და მოსულს ისევ ჰკითხეს, ჩვენ რა შუაში ვართ ბატონო, ჩვენ რით შეგვიძლია დაგეხმაროთო?

„საქმე ის გახლავთ, რომ ლაბორრატორიაში, სადაც ვმუშაობ, კიდევ არის რამდენიმე მეცნიერი, მაგრამ მათ ნიჭი არ აქვთ. არა, ამას ყველაზე არ ვამბობ, მაგრამ ბევრი მართლა უნიჭოა. ჰოდა, ერთ-ერთი მათგანი მემუქრება, თუ მაგ გამოგონებაში თანაავტორად არ ჩამწერ, შენს საცოლეს მე დაველაპარაკები, მე შევაყვარებ თავს და ცოლადაც მე მოვიყვანო. გესმით, როგორ მაშანტაჟებს? ამის გაკეთება არ შეიძლება, ახლა ჩემი მოცდენა არ შეიძლება, ეს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული იქნება და თუ მას არ დააკავებთ მანამ, სანამ მუშაობას დავასრულებ, უდიდესი გამოგონება ვერ შედგება“, – დაასრულა მოსულმა.

გამომძიებლებს გაეცინათ, მაგრამ ღიმილი მაშინვე მოსხიპეს, როცა ახალგაზრდა მეცნიერის გაბრაზებულ სახეს შეხედეს. მოსული არ ხუმრობდა და ერთადერთი, რაც ძალოვნებს შეეძლოთ, ის იყო, რომ მას განცხადება დაეწერა, შანტაჟის შესახებ ოფიციალურად ემცნო მილიციისთვის და ძიებაც სწორედ ამის საფუძველზე დაიწყებოდა. მოსულმა განცხადება დაწერა, მერე ხელი ჩაიქნია და წავიდა. რა თქმა უნდა, ძალოვნებმა ის ღიმილით გააცილეს, თუმცა იმავე საღამოს მიხვდნენ, რომ საქმე სასაცილოდ არ იყო – ახალგაზრდა მეცნიერს სახლთან მაშინ ესროლეს, როცა სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა.

„გასროლა სანადირო თოფიდან, საკმაოდ შორიდან განხორციელდა. ამიტომაც არის, რომ „კარტეჩმა“ ტანსაცმელი გაიარა და მხოლოდ ერთი შევიდა სხეულში, თუმცა ისიც უმნიშვნელოდ, დანარჩენმა, უბრალოდ, სხეული აუწვა, მაგრამ ახლო მანძლიდან რომ ესროლათ „კარტეჩის“ ტყვია, დაჭრილს გადარჩენის შანსი არ ექნებოდა“, – ასეთი იყო ექსპერტის დასკვნა.

გამოდიოდა, რომ ვიღაცას ახალგაზრდა მეცნიერის დაშინება სურდა და ის ვიღაც, სავარაუდოდ, სწორედ ის ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, რომელზეც მეცნიერმა საჩივარი დილით დაწერა. შესაბამისად, სამართალდამცავებმა სწორედ ის დააკავეს და მიხვდნენ, რომ შეცდნენ – დაკავებულს უტყუარი ალიბი ჰქონდა. ის ინციდენტის დღეს, ლაბორატორიის ხელმძღვანელს ორი საათით ადრე გაეთავისუფლა, რათა მეგობრებთან ერთად, ქალაქგარეთ წასულიყო და ექეიფა. ჰოდა, მის გარდა, კიდევ 12 ადამიანი ამბობდა, რომ მაშინ, როცა სროლა განხორციელდა, მთავარი ეჭვმიტანილი, ტყეში მწვადებს წვავდა. სამაგიეროდ, მას ბრალი შანტაჟში წარუდგინეს, თუმცა ვერც ეს ბრალდება იყო მყარი – დაკავებულმა თქვა, რომ უბრალოდ იხუმრა, რომ საცოლე ჰყავდა, რომ მასზე დანიშნულიც იყო და ქორწილიც მალე ექნებოდათ, ამ ყველაფერს კი, უბრალოდ კოლეგის გასაბრაზებლად ამბობდა. გამოძიება იძულებული იყო, ეღიარებინა, რომ დაკავებულს მომხდარ დანაშაულთან კავშირი არ ჰქონდა.

ახალგაზრდა მეცნიერს დაცვა დაუნიშნეს, თუმცა ისე, რომ მას არაფერი უთხრეს და თვალთვალი 24 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. მომდევნო დღეებში არაფერი მომხდარა, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ, მაშინ, როცა ოპერები ობიექტის სამსახურის წინ მზესუმზირას აკნატუნებდნენ, ჩოჩქოლი ატყდა. კართან სასწრაფო დახმარების მანქანა გამოჩნდა და წარმოიდგინეთ ძალოვნების გაოცება, როცა საკაცეზე სწორედ მათი თვალთვალის ობიექტი იცნეს.

„რა მოხდა“, – ღრიალით ეცნენ ისინი ექიმებს, მათ კი, მშვიდად მიუგეს, ეს კაცი კიბეზე დაგორდა და კეთილი ინებეთ, საავადმყოფოში მიყვანის შესაძლებლობა მოგვეცითო. მაშინვე მთელი კოლექტივის დაკითხვა გადაწყდა, მაგრამ საინტერესო ვერავინ ვერაფერი თქვა. კაცი მოსაწევად კიბის უჯრედში გავიდა, შემდეგ, იმავე უჯრედში, ასევე მოსაწევად, სხვა თანამშრომელი გავიდა და დაინახა, როგორ ეგდო კიბის ბოლოს მისი კოლეგა და როგორ მოსდიოდა თავიდან სისხლი. ექიმებმა თქვეს, რომ დაზარალებული გადარჩებოდა, მაგრამ მისი დაკითხვა მხოლოდ 48 საათის შემდეგ თუ იქნებოდა შესაძლებელი. ორი დღე გამოძიება წინ ერთი ნაბიჯითაც არ წაწეულა და ყველა იმედი სწორედ დაზარალებულის ჩვენებაზე იყო, მაგრამ ამაოდ. როცა მისი დაკითხვამ მოხერხდა, მან მხრები აიჩეჩა – „სიგარეტს ვეწეოდი, არც გამიგია, ვინმე თუ მომიახლოვდა, ზურგში ძლიერი ბიძგი ვიგრძენი, იმდენად ძლიერი, რომ პირველი 4-5 საფეხური უბრალოდ ვიფრინე და მერე დავენარცხე. შემდეგ, აზრზე საავადმყოფოში მოვედი. ახლომახლო არავინ დამინახავს, არც ხმა გამიგონია და შესაბამისად, წარმოდგენა არ მაქვს, ვინ შეიძლებოდა, ყოფილიყო. იმედი მაქვს, იმ კოლეგის ალიბი გადაამოწმეთ, რომელზეც მე ადრე გესაუბრეთ“...

ვაი, რომ სამართალდამცავებს ყველა თანამშრომლის ადგილმდებარეობა ჰქონდათ დადგენილი, ყველას ჰყავდა ისეთი ადამიანი, რომელიც ამოწმებდა, ერთად ვიყავითო და ისე გამოდიოდა, რომ დაზარალებულს ხელი სრულიად უცხომ ჰკრა, რაც გამორიცხული იყო, რადგან დაცვისა და სპეციალური საშვის გარეშე, უცხო პირი შენობაში ვერ შევიდოდა და იმ დროისთვის არცერთი საშვი გაცემული არ იყო. გამოძიება ისევ ჩიხში შევიდა და დარწმუნდა, რომ ახალგაზრდა კაცის მოშორება მართლაც ძალიან სურდა ვიღაცას, მაგრამ ვის და რატომ?

„ჩვენ ყველას ალიბი გადავამოწმეთ, სრულად აღვადგინეთ სურათი, ვინ სად იყო იმ დროს, თუმცა გამოგვრჩა ერთი ადამიანი – დირექტორი. მისთვის ალიბი არც გვიკითხავს და თანაც, გაითვალისწინეთ, რომ იმ დროს, მისი მდივანი ადგილზე არ იყო და საპირფარეშოში დაქალს ეჭორავებოდა. დირექტორზე თვალთვალი დააწესეთ, ეგებ, სწორედ მას სურს ნაშრომის მითვისება“, – თქვა გამომძებელმა და ეს ვერსია ძალიან რეალური ჩანდა.

ძიებამ შედეგი მეორე დღესვე მოიტანა. დირექტორი სამუშაო დროის გასვლის შემდეგ შეყოვნდა, დაახლოებით, ერთი საათით გვიან გამოვიდა სამსახურიდან და რაც მთავარია, მარტო არ გამოსულა – მასთან ერთად, შენობა დაზარალებულის საცოლემ დატოვა, ისინი სამსახურის „ვოლგაში“ ჩასხდნენ და გეზი დირექტორის სახლისკენ აიღეს. ქალი სადარბაზოში ისე შეკუნტრუშდა, იქ პირველად აშკარად არ იყო და ძალოვნებმაც მეზობლები გამოჰკითხეს.

„ეს ქალი, ლამის ყოველდღე აქ არის, ამბობენ, ამ კაცის საყვარელიაო, მაგრამ რატომ საყვარელი, უცოლო კაცია. მართალია, ქალზე ათი წლით უფროსია, მაგრამ, ალბათ, ცოლად მოყვანას აპირებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასე ღიად არ ივლიდნენ“, – თქვეს ჭორიკანა მეზობლებმა.

სამართალდამცავებმა დაზარალებული დაარიგეს, სამსახურში რომ გახვალ, მოიმიზეზე, რომ ბევრი საქმე დაგიგროვდა და შინ წასვლას 12-მდე არ აპირებ, დანარჩენი ჩვენ ვიცითო. მართლაც, ახალგაზრდა მეცნიერი ასეც მოიქცა, ხმამაღლა გამოაცხადა, დღეს 12-მდე უნდა ვიმუშაოო და როცა 12-ისთვის შენობა დატოვა, გადაწყვიტა, ტაქსი გაეჩერებინა. ამ დროს, საიდანღაც დირექტორის მანქანაც მოვიდა, დირექტორმა ავტომობილიდან ხელქვეითს ხელი დაუქნია და სახლში წაყვანა შესთავაზა. მეცნიერი დათანხმდა და წინა სავარძელზე მოკალათდა. სამართალდამცავებმა „ვოლგას“ გზა მაშინ გადაუჭრეს, როცა ის ქალაქიდან გასვლას აპირებდა. დირექტორის მკვრივ მუშტს, ახალგაზრდა კაცი, კიდევ ერთხელ გაეთიშა.

„მთელი ცხოვრება იდიოტი იყო, ჭკვიანი იდიოტი. ახლა რაღაც წამალი გამოიგონა და ვფიქრობ, მართლაც კარგი რამ შექმნა, მაგრამ რად გინდა, ვერ გამოიყენებდა. მარტო ის რად ღირს, რომ უყვარს ქალი, რომელიც ჩემი საცოლე კი არა, პრაქტიკულად, ცოლია და ორი წელია, ერთად ვცხოვრობთ. როცა ეს გავიგე, გადავწყვიტე, მისი გამოგონება მიმეთვისებინა, ჩემს საცოლეს ვთხოვე და ნაშრომები გამოართვა, ვითომ უნდა წაეკითხა და იმანაც სიხარულით მისცა. ასლები გავაკეთე, ახლა ხელნაწერებსაც ვაკეთებდი და... ბედმა მიმუხთლა“, – გულდაწყვეტით ამბობდა დირექტორი.

ყველაზე საინტერესო ამ ამბავში კი ის გახლდათ, რომ გამოგონება რუსეთში წაიღეს და იქიდან პასუხი მოვიდა, რომ რაღაცები სწორად არ იყო გათვლილი და ამიტომ, წამალი წარმოებაში არ ჩაეშვებოდა.

ბათო ჯაფარიძე

სამართალდამცავებიც ადამიანები არიან და მათაც ზუსტად ისევე სჭირდებათ დასვენება, როგორც სხვებს, თორემ განსაკუთრებით დღეს, ბევრს ჰგონია, რომ ძალოვანი უწყების თანამშრომელი არ იღლება, რომ ქუჩაში 24 კი არა, 48 საათი შეუძლია ყოფნა და წესრიგის დაცვა, რომ უფლებაც კი არ აქვს, დაიღალოს. შესაბამისად, ძალოვნებიც დადიან ხოლმე დასასვენებლად და არცთუ იშვიათად ცდილობენ, მარტო დაისვენონ და არა – ცოლ-შვილის გარემოცვაში, რადგან ორგანიზმთან ერთად, გონებამაც მოახერხოს სხვა რამეზე გადართვა.

რატომ გადაწყვიტა შვილმა მამის მოკვლა

როგორ გახსნა დასასვენებლად წასულმა ძალოვანმა დანაშაული

სწორედ ასე იყო, როცა განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი მიყრუებულ სოფელში მარტო წავიდა, რათა სამი-ოთხი დღე ფეხით ევლო, მდინარის პირას ჩამომჯდარიყო, დაეძინა სუფთა ჰაერზე და რაც მთავარია, მიეღო ნატურალური პროდუქტი. პირველ რიგში, რაც სოფელში ჩასულმა გააკეთა, ის იყო, რომ იკითხა, ვინმე ოთახს ხომ არ აქირავებსო. გაირკვა, რომ სოფელში ისედაც ცოტა ხალხი ცხოვრობდა, გაქირავებაზე კი არასდროს არავის უფიქრია, თუმცა...

„მარტო ვცხოვრობ, თუ მიკადრებ მასპინძლად, წამოდი, დასაძინებელ ოთახს მოგცემ, არაფერი მინდა შენი, მაგრამ საჭმლის კეთების რა გითხრა, პროდუქტებს აქვე, სოფელში კი ვიყიდით, მაგრამ მე ან შემწვარ კარტოფილს ვჭამ, ან კვერცხს, სხვა რამის გაკეთება არ ვიცი“, – უთხრა გამომძიებელს მამაკაცმა, რომელსაც სწორედ ოთახის თაობაზე ესაუბრებოდა.

ძალოვანი სიხარულით დათანხმდა, სოფლის კარტოფილის გახსენებაზე, ნერწყვიც კი მოადგა და მასპინძელს მხიარულად გაჰყვა, თან იქვე დააყოლა, თუ ბინის ქირას არ გამომართმევ, მაშინ საკვებს მე ვყიდულობო. მამაკაცებმა ყველი, ბოსტნეული, ერთი ვარია იყიდეს და სადილის მომზადებას შეუდგნენ.

„დაახლოებით, ექვსი თვის წინ, ახალგაზრდა ბიჭი ჩამოვიდა ჩვენს სოფელში, ისიც ოთახს ეძებდა, აგერ, მეზობლის ქალმა შეიფარა. მოხუცი ქალია, ასე უთხრა, შენი არაფერი მინდა, ხანდახან წყალი მომაწოდეო და ცხოვრობს ის ბიჭი აქ, თან ხატავს, აქაოდა, ქალაქში ხატვა მიჭირს, ათასი საქმეა, ნაცნობი, უცნობი გაწუხებს, აქ კი სიმშვიდეაო. მოკლედ, ორი უცხო ხართ სოფელში“, – გაეცინა კაცს.

ახალგაზრდა ბიჭის საქციელმა გამომძიებელი ჩააფიქრა. არ მოეწონა, ვიღაც რომ ნახევარი წელი, მიყრუებულ სოფელში იყო და ხატავდა. გადაწყვიტა, ნახატები ენახა და მიმხვდარიყო, მართლა ხელოვანთან ჰქონდა საქმე თუ ვიღაც სოფელში იმალებოდა და სინამდვილეში ძებნილი იყო. საეჭვო პირი გამომძიებელმა იმ დღესვე გაიცნო და ბიჭმა ცუდი შთაბეჭდილება არ დატოვა. ნახატებიც სიამოვნებით ანახა გამომძიებელს (რომელმაც ნამდვილი პროფესია დაუმალა, ვინძლო, არ დავაფრთხოო) და მას იმდენად მოეწონა ნამუშევარი, ერთ-ერთის შეძენაც გადაწყვიტა, მაგრამ ბიჭმა უარი თქვა, ეგ უკვე გაყიდულია, აქვე, სოფლელმა კაცმა იყიდა, სხვა აირჩიეო. ისიც გაირკვა, რომ ბიჭის ნახატები არა მარტო ადგილზე, არამედ, ახლო-მახლო სოფლებშიც მეტად პოპულარული იყო და 30-40 მანეთს არავინ ამადლიდა. სწორედ ამით ირჩენდა ბიჭი თავს და თან ამბობდა, მთავარია, იმ ნახატს მოვრჩე, რომელიც ჩაფიქრებული მაქვს და გამოფენისთვის მინდაო. მთავარი ნახატის მასშტაბები კი, მართლაც შთამბეჭდავი იყო – დაახლოებით, ორი მეტრი სიგანე და 4 მეტრი სიგრძე ჰქონდა ტილოს, რომელზეც მთები და მინდორი მოჩანდა, თუმცა მთებზე არსებულ ხეებს ბიჭი ფოთლებს სათითაოდ უხატავდა და როგორც თავად ამბობდა, ნამუშევარი მზად ერთ წელში იქნებოდა. გამომძიებელი დამშვიდდა, ბიჭს აშკარად არ ეეტყობოდა, რომ კრიმინალთან რამე შეხება უნდა ჰქონოდა და მთლიანად დასვენებაზე გადაერთო. მასპინძელს შეუთანხმდა, დილით, ადრე გავალ სასეირნოდ, ასე, 6-7 საათისთვის და 10-ისთვის დავბრუნდებიო. მანაც თავი დაუქნია.

მეორე დღეს, გამომძიებელმა ბევრი ისეირნა და შინ რომ ბრუნდებოდა, დაინახა, მისი მასპინძლის სახლიდან კვამლი გამოდიოდა. მაშინვე ნაბიჯს აუჩქარა, კარი გააღო და ინსტიქტურად მივიდა ფანჯარასთან, რომ გამოეღო, რადგან კვამლს ისე გაევსო ოთახი, არაფერი ჩანდა. მერე ლოგინს ეცა, ნახევრად გაგუდული მასპინძელი გარეთ გამოათრია და როგორც იქნა, აზრზე მოიყვანა. თან ყვიროდა, მომეხმარეთო და ლამის მთელი სოფელი მოგროვდა.

„დილით გრილოდა, ბუხარი დავანთე და ლოგინში დავბრუნდი. არ ვიცი, რა მოხდა, კვამლი რატომ დადგა“, – ამბობდა თვალებდაჭყეტილი მასპინძელი. ერთ-ერთი სოფლელი სახურავზე ავიდა და საკვამურიდან მოზრდილი თივის ნაჭერი გადმოაგდო, ალბათ, რომელიმე ფრინველმა გაიკეთა ბუდეო. ყველა დაწყნარდა და სახლებში წავიდ-წამოვიდა, თუმცა მასპინძელი აშკარად დაფიქრებული იყო, მერე კი...

ჯერ ერთი, ბუხარი ორი დღის წინაც დავანთე და არანაირი ბუდე არ იყო, მეორეც – ახლა რომ დავანთე, კვამლი გადასარევად გაიტანა, ცეცხლის დანთების შემდეგ, საპირფარეშოში გავედი, უკან რომ დავბრუნდი, ერთი ნაჭერი შეშა დავამატე და არანაირი პრობლემა არ იყო. მთავარი კი ის არის, რომ როცა მეზობელი სახურავზე ადიოდა, კიბე მიდგმული იყო. მე კიდევ, კიბე მუდმივად წაქეული მაქვს. ვიღაც ჩემს მოკვლას ცდილობდა“, – თქვა მასპინძელმა და გამომძიებელსაც გაახსენდა, რომ წაქცეული კიბე თავადაც შენიშნა. ეს აშკარა კრიმინალი გახლდათ, მკვლელობის მცდელობა, მაგრამ ვის და რატომ უნდა მოეკლა კაცი?

„წარსულზე აბა, რა გითხრა? უბედური კაცი ვარ, სამი ცოლი მყავდა, შვილი არცერთთან არ მეყოლა. პირველ მეუღლეს გავშორდი, მეორეს ავტომობილი დაეჯახა, როდესაც გაჩერებაზე იდგა, მესამე – სიმსივნით გარდაიცვალა, ორი წლის წინ დავკრძალე და სოფლად წამოვედი. ქალაქში კი მაქვს სამოთახიანი ბინა, მაგრამ დაკეტილია და დღე-დღეზე, ძმისშვილს გადავუფორმებ, აბა, რა გავაკეთო? ვის უნდა უნდოდეს ჩემი მოკვლა? თანამდებობაზე არასდროს მიმუშავია, მძღოლი ვიყავი და მუდმივად გზაში, „ბარანკას“ ვატრიალებდი, მოვლილი მაქვს ჩემი მანქანით მთელი საბჭოთა კავშირი“, – მხრებს იჩეჩავდა მასპინძელი.

გამომძიებელი იმითაც დაინტერესდა, ვინმეს მისი სახლი ხომ არ მოუვიდა თვალში და რომელიმე სოფლელს ხომ არ სურდა მისი მოშორება, რაზეც მასპინძელს ხმამაღლა გაეცინა – „რა ჩემი სახლი? ჩემს სახლზე ბევრად უკეთესებია მიტოვებული, მეპატრონეები კაპიკებში დათმობენ, შედი, იცხოვრე, მიწებიც თავზე საყრელია, ჩემი სახლი არაფერი ღირს და არც მიწა მაქვს იმდენი, მისთვის ვინმემ სასიკვდილოდ რომ გამიმეტოს“...

თითქოს, ყველაფერი მიწყნარდა, მასპინძელმა თქვა, ეგებ, მართლაც ბუდეს აშენებდა რამე, ან ფრინველს მიჰქონდა თივის ბღუჯა და უბრალოდ, სწორედ ჩემს საკვამურში ჩაუვარდაო, რისიც გამომძიებელს არ სჯეროდა. მეორე დღეს, სტუმარი ისევ დილით გავიდა სახლიდან, მაგრამ შორს არ წასულა, იქვე მიიმალა და სახლის თვალთვალი დაიწყო, მაგრამ არავინ გამოჩენილა. ერთი ეგ იყო, მხატვარმა ბიჭმა ჩაიარა თავის ინსტრუმენტებით, თუმცა სახლისკენ არც გაუხედავს და ისე მიეფარა ტყეს, მხოლოდ ცას და ჩიტებს უყურებდა და თან სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. გამომძიებელმა ჩასაფრება მეორე დღესაც მოაწყო, მაგრამ ისევ უშედეგოდ და მასპინძელს დაეთანხმა, ალბათ, მართლა შემთხვევითობა იყოო და ისიც აუწყა, ორ დღეში, ქალაქში დავბრუნდებიო.

იმ საღამოს ისევ აგრილდა, მასპინძელმა ისევ ბუხრის დანთება გადაწყვიტა და შეშაც შეუკეთა. კვამლი უკან გამობრუნდა და სტუმარ-მასპინძელმა ერთმანეთს გადახედეს. კაცი მაშინვე გარეთ გავიდა, კედელს კიბე მიაყუდა და ასვლა დაიწყო. ბოლო საფეხურზე რომ დადგა ფეხი, საფეხური ჩატყდა და კაცი დაბლა ტყვიასავით წამოვიდა. გამომძიებელმა ხელი და ფეხი ერთდროულად შეაშველა და პირდაპირი დაცემისგან იხსნა, მაგრამ კაცს ფეხი მაინც მოტყდა. კიბის საფეხური ლამის ბოლომდე იყო ხერხით გადაჭრილი და ამის გამკეთებელმა კარგად იცოდა, რომ ბოლო საფეხურის ჩატეხვის შემთხვევაში, ვარდნა გარდაუვალი იქნებოდა. საკვამურში კვლავ თივა იყო ჩატენილი და უვკე აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ მამაკაცის მოკვლა სურდათ. სასწრაფო დახმარების ბრიგადამ კაცი რაიონის საავადმყოფოში წაიყვანა, თან გამომძიებელიც გაჰყვა და ექიმებს სთხოვა, ერთი დღე გააჩერეთო, თავად კი, სოფელში დაბრუნდა და იქ შეკრებილებს უთხრა, აქ დაბრუნებას აღარ აპირებს, ისევ ქალაქში უნდა იცხოვროს და მეც ხვალ დილით ტანსაცმელი უნდა წავუღო, აქეთ გამოხედვაც არ უნდაო. სოფლელებს აბა, რა უნდა ეთქვათ, კაცს ვიღაც ერჩოდა და ლოგიკური იყო, გაცლა რომ ამჯობინა. გამომძიებელი სოფლელებს დაემშვიდობა და სახლში შევიდა, დავიძინებ და ხვალ დილით ტანსაცმელს წავუღებ, კარსაც ავჭედავო. სინამდვილეში, როგორც კი სახლში შევიდა, უკანა ფანჯრიდან გადაძვრა და რაიონისკენ მოკურცხლა. რაიონულ საავადმყოფოში, თავის მასპინძლის პალატაში, გვერდით ლოგინზე მოკალათდა, ზეწარი გადაიფარა და გაინაბა.

პალატის კარი ღამის 3 საათისთვის გაიღო და ვიღაც ფეხაკრეფით შევიდა. გამომძიებელს ზეწარი ორ ადგილზე ჰქონდა გახვრეტილი და ქუჩიდან შემომავალ მკრთალ შუქზე, სილუეტს კარგად არჩევდა. სილუეტი დაზარალებულის საწოლთან დაიხარა, მერე კი, იქვე მდგარ წყლის ბოთლს სახურავი მოხადა, შიგნით რაღაც ჩაყარა, თავი დააფარა და ის იყო გასვლა დაუპირა, გამომძიებლის ხმაც გაიგონა – „გაინძრევი და გესვრი“. ძალოვანის ხელში ტაბელური იარაღი ელავდა. ჰოდა, რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როცა ხელში... მხატვარი ბიჭი შერჩა. მოგვიანებით, ექსპერტიზამ ბოთლში საწამლავი აღმოაჩინა.

„რატომ მსურდა მამაჩემის მოკვლა? იმიტომ, რომ როცა ციმბირისკენ ჩამოდიოდა, სულ დედაჩემთან ჩერდებოდა, ეუბნებოდა, ერთ დღესაც აქედან წაგიყვანო. მერე კი, დედა ორსულად დარჩა და ესეც დაიკარგა, გაქრა. ქართული რომ მესწავლა, დედამ რეპეტიტორიც კი დაიქირავა, მშობლიური ენა უნდა იცოდეო. სამი წლის წინ გარდაიცვალა, ბოლომდე ამ არაკაცის სახელს იძახდა. მერე, ბინა რომ გადავქექე, სურათიც ვიპოვე და გადავწყვიტე, მომეძებნა. მხატვრობის ნიჭი მაქვს და დავიბრალე ეს პროფესია. ხშირად ვესაუბრებოდი და ერთხლაც არ უხსენებია, რომ შვილი დატოვა. ამიტომ გადავწყვიტე, დამესაჯა. კაცს მემკვიდრე არ ჰყავს და შვილი არც კი დაძებნა“, – განაცხადა დაკითხვაზე დაკავებულმა.

როცა დაზარალებულმა გაიგო, რომ მოკვლას შვილი უპირებდა, გაოგნდა. რა თქმა უნდა, ის ქალი გაიხსენა, მაგრამ იფიცებოდა, არ ვიცოდი, რომ შვილი მყავდა, ეგ რომ მცოდნოდა, აქ რატომ დავიწყებდი ქალების დევნას, ცოლად იმას მოვიყვანდიო. მერე კი, ყველაფერი გააკეთა, რათა მისი შვილი არ დაეკავებინათ და ცდილობდა აეხსნა, რომ მისი არსებობის შესახებ არაფერი იცოდა, თუმცა შვილმა არ დაუჯერა და რუსეთში დაბრუნდა.

ვახტანგ გომელაურმა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან, თბილისის მერ კახა კალაძესთან და მთავრობის წევრებთან ერთად, „ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში“, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

„დღეს მნიშვნელოვანი დღეა და მინდა, ყველას მივულოცო, პირველ რიგში ვეტერანებს, ვინც მონაწილეობა მიიღო ფაშიზმთან გამარჯვებაში და სრულიად მსოფლიოს მინდა მივულოცო“, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა

ბლოგერ უჩა აბაშიძესა და მის მეუღლეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ

ბლოგერ უჩა აბაშიძესა და მის მეუღლე მარიამ იაშვილს, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეეფარდათ. წინასასამართლო სხდომა 2 ივლისს ჩაინიშნა.

სხდომას ესწრებოდა ორივე ბრალდებული. პროცესზე დაკავებულებმა მათ მიმართ განხორციელებულ სავარაუდო დამამცირებელ მოპყრობაზე ისაუბრეს. უჩა აბაშიძის განცხადებით, ჩხრეკის დროს, მის მიმართ დამამცირებელი მოპყრობა განხორციელდა. ასევე, სავარაუდო დამამცირებელ მოპყრობაზე ისაუბრა მისმა მეუღლემ, მარიამ იაშვილმაც.

ამასთან, პროცესზე, მოსამართლე ალექსანდრე იაშვილმა გაიზიარა, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარის შუამდგომლობა და პროცესი დახურა.

გამოძიების ინფორმაციით, მარიამ იაშვილის საკონტაქტო მონაცემები სექსუალური მომსახურების სხვადასხვა ინტერნეტ საიტებზე იყო გამოქვეყნებული, სადაც მისი მხრიდან სექსუალური მომსახურების შეთავაზება ხდებოდა. მას შემდეგ, რაც კონკრეტულ პირთან მოხდებოდა შეთანხმება და იგი მივიდოდა ზემოხსენებულ ბინაში, ბრალდებულები, აღნიშნული პირისგან მალულად, სპეციალურად დამონტაჟებული მოწყობილობების საშუალებით, სისტემატურად, უკანონოდ იღებდნენ და ინახავდნენ ინტიმური კავშირის ამსახველ აუდიო-ვიდეო ჩანაწერებს.

ამასთან, პროკურატურა აცხადებს, რომ 2019 წლიდან 2024 წლამდე პერიოდში, განხორციელდა ასობით სხვადასხვა პირის სქესობრივი კავშირის ამსახველი, ათასობით ვიდეო-აუდიო მასალის ჩაწერა. იდენტიფიცირებულია რამდენიმე პირი, რომელთა პირადი ცხოვრების საიდუმლოს ამსახველი ჩანაწერებიც უკანონოდ ინახებოდა ბრალდებულთა კომპიუტერულ ტექნიკასა და ელექტრონული ინფორმაციის შემნახველ მოწყობილობებში.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლით და 236-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება – შენახვას და ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა მიგრაციის საკითხებში გერმანიის ფედერალური მთავრობის სპეციალურ რწმუნებულთან შეხვედრა გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, საქართველოში ოფიციალური სამუშაო ვიზიტით მყოფ მიგრაციის საკითხებში გერმანიის ფედერალური მთავრობის სპეციალურ რწმუნებულს, იოახიმ შტამპს შეხვდა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ისაუბრეს გერმანიასა და საქართველოს შორის არსებული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და შრომითი მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის გაფართოებაზე.

ვახტანგ გომელაურმა ასევე ისაუბრა გერმანიის მიერ, საქართველოს უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნად აღიარების საკითხზე და აღნიშნა, რომ გერმანიის მთავრობის მხრიდან მიღებული ეს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველო არის დემოკრატიული ქვეყანა, რომლის სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებების სათანადო დაცვას.

თავის მხრივ მიგრაციის საკითხებში გერმანიის ფედერალური მთავრობის სპეციალურმა წარმომადგენელმა დადებითად შეაფასა ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობა და არსებული პარტნიორული ურთიერთობების კიდევ უფრო გაფართოების მზაობა გამოხატა.

შეხვედრის დასასრულს, იოახიმ შტამპმა მადლობა გადაუხადა ქართულ მხარეს მასპინძლობისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივი ძალისხმევით მხარეები არაერთი წარმატების მიღწევას შეძლებენ.

ვახტანგ გომელაური:

„სოციალურ ქსელებში პირდაპირ დებენ, რომ უნდა მოახდინონ ბლოკირება, რამდენიმე დღის წინ, ვნახეთ პარლამენტის ჭიშკარზე რა გააკეთეს – წყლის ჭავლი რომ არ გამოგვეყენებინა, ალბათ, გადმოანგრევდნენ კარებს“.

შს მინისტრ ვახტანგ გომელაურის განცხადებით, პარლამენტთან დაგეგმილ აქციებზე მოსალოდნელი პროვოკაციების შესახებ აქვთ როგორც ოპერატიული, ასევე, ღია წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია.

„არის ინფორმაციები, ოპერატიული ინფორმაცია ერთია და მეორე, რას ვნახავთ პირდაპირ“, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა ჟურნალისტების კითხვაზე პასუხად, რომელიც აქციაზე, პროვოკაციებს ეხებოდა.

როგორც გომელაურმა ბრიფინგზე განმარტა, სოციალურ ქსელებში პირდაპირ იწერება, რომ უნდა მოახდინონ შენობების ბლოკირება.

ამასთან, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა განმარტა, პოლიციას წინა აქციებზე ძალისთვის არ გადაუმეტებია, გარეთაც არ გამოსულან, „უბრალოდ, შიგნიდან გამოიყენა წყლის ჭავლი პოლიციამ“.

„სოციალურ ქსელებში პირდაპირ დებენ, რომ უნდა მოვახდინოთ ბლოკირება, არ უნდა შევუშვათ ადამიანები. რამდენიმე დღის წინ ვნახეთ პარლამენტის ჭიშკარზე რა გაკეთეს, ახალგაზრდებიც იყვნენ, შეიძლება ყველა ახალგაზრდა არ იყო. სამწუხაროდ, მეორე დღეს განცხადებები იყო, რომ პოლიციამ ძალა გადაამეტა, როდესაც გარეთ საერთოდ არ გამოვსულვართ და უბრალოდ, წყლის ჭავლი რომ არ გამოგვეყენებინა ალბათ, გადმოანგრევდნენ კარებს და უფრო მეტი ადამიანი დაშავდებოდა, მათ შორის პოლიციელებიც დაშავდნენ. თუმცა ხაზს ვუსვამ, არ მინდა გვარი და სახელები დავასახელო, მათ შორის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმაც ძალიან დაგმეს, ეს როგორი გადამეტებული ძალა გამოიყენა პოლიციამ, როცა კიდევ ხაზს ვუსვამ, გარეთ არც გამოვსულვართ, უბრალოდ, შიგნიდან გამოიყენა წყლის ჭავლი პოლიციამ“, – განაცხადა გომელაურმა.

შსს: „ლეონიძის ქუჩაზე, მსუბუქი ავტომობილის ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა მძღოლმა და მისმა თანმხლებმა პირებმა შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ავტობუსს გადაადგილებაში ხელი შეუშალეს, რასაც დაპირისპირება მოჰყვა“

შინაგან საქმეთა სამინისტრო, ლეონიძის ქუჩაზე სამართალდამცველებსა და მოქალაქეს შორის მომხდარ ფიზიკურ დაპირისპირებას ეხმაურება.

როგორც უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, პირი, რომელიც ავტომობილს მართავდა, ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა და სამართალდამცავების მოწოდების მიუხედავად, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ავტობუსს გადაადგილების საშუალებას არ აძლევდა.

შსს-ს ცნობით, საქმე მოსაკვლევად სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

„გვსურს, გამოვეხმაუროთ თბილისში, ლეონიძის ქუჩაზე მომხდარ ინციდენტს, განვმარტავთ, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ავტობუსი ოპერატიული დავალების მიზნით, სპეციალური შუქურის გამოყენებით გადაადგილდებოდა გზის სავალ ნაწილზე. საავტომობილო გზაზე მოძრავმა ერთ-ერთი ავტომობილის ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა მძღოლმა, 1991 წელს დაბადებულმა ი.წ.-მ არ გაითვალისწინა სამართალდამცველების არაერთი თხოვნა გაეტარებინა მანქანა და ხელი შეუშალა მათ გადაადგილებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ავტობუსი შეეცადა გადაადგილების მიზნით გვერდი აევლო აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებისთვის, მძღოლმა და მისმა თანმხლებმა პირებმა არ მისცეს ავტობუსს აღნიშნულის საშუალება, რასაც მოჰყვა მათსა და სამართალდამცველებს შორის დაპირისპირება.

საქმე შემდგომი მოკვლევის მიზნით გადაგზავნილია სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„მესტალიაზე“ მამარდაშვილს უმღერეს

„ვალენსიას“ ყველა დროის საუკეთესო მეკარედ სანტიაგო კანისარესი ითვლება. ლეგენდარული კიპერი 54 წლისაა და მას ჟურნალისტები კლუბში არსებულ სიტუაციაზე აზრს ხშირად ეკითხებიან. ასე იყო ამჯერადაც და კანისარესს გიორგი მამარდაშვილის შესახებ ჰკითხეს.

„შეხედეთ მის თამაშს და რეზულტატს – „ვალენსია“ ესპანეთის პრიმერადივიზიონში მოთამაშე 20 გუნდიდან, გაშვებული გოლების სიმცირით, მეოთხეა ანუ ჩვენ 16 კლუბს ვჯობნით. ეს მცველების კი არა, სწორედ მამარდაშვილის დამსახურებაა. სასწაულს ვიწამებ, თუ გიორგი მომავალ სეზონსაც „მესტალიაზე“ დაიწყებს, მაგრამ ის ისეთ დონეზე თამაშობს, რომ აუცილებლად წაგვართმევენ. ვფიქრობ, მისი წასვლის შემდეგ, „ვალენსიას“ ორი მეკარის შეძენა მოუწევს“, – განაცხადა კანისარესმა.

მამარდაშვილმა კი, მორიგი მშრალი მატჩი „რაიო ვალეკანოსთან“ ითამაშა და ისეთი ბურთი აიღო, გადაჭედილმა სტადიონმა უმღერა. ჰო, ქართველ ბიჭს ესპანეთში უმღერეს და ფეხზეც წამოუდგნენ. ჩვენი ნაკრების მეკარე აუცილებლად რომ გაიყიდება, ადვილი მისახვედრია და ფასი, რომელიც ადევს (35 მილიონი ევრო), უკვე სასაცილოდ მოჩანს – ამ თანხის გადახდას ძალიან, ძალიან ბევრი გრანდი მარტივად მოახერხებს. ყველა ხვდება, რომ მამარდაშვილის შეძენით, კარს საიმედოდ, ყველაზე ცოტა, ათი წლის განმავლობაში დაიცავს.

კიტეიშვილის დუბლი „შტურმს“ ჩემპიონობისთვის ჯერჯეროობით არ ეყო

ბოლო ათი სეზონია, ავსტრიის ჩემპიონი „ზალცბურგი“ ხდება. ძალიან, ძალიან დიდი შანსია, მათი ჰეგემონია ოთარ კიტეიშვილის „შტურმმა“ დაამხოს. ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე, გრაცელები პირველ ადგილზე არიან და მოქმედ ჩემპიონს ორი ქულით უსწრებენ. ჰოდა, ბოლო ტურში, შინ თუ იმარჯვებენ...

არადა, შეიძლებოდა, ყველაფერი გასულ უქმეებზე დასრულებულიყო. „შტურმი“ „ლასკს“ სტუმრობდა და გამარჯვების შემთხვევაში, ჩემპიონობას ვადაზე ადრე გაიფორმებდა, თუმცა შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა. სტუმართა მხრიდან, ორივე გოლი სწორედ კიტეიშვილმა გაიტანა და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც სამართლიანად დასახელდა, თუმცა უკეთესი იქნებოდა, ოთოს თანაგუნდელებსაც მეტად მოენდომებინათ და საჩემპიონო ზეიმი ბოლო ტურისთვის არ გადაედოთ.

მიქაუტაძემ ისევ გაიტანა, „მეცმა“ ისევ წააგო

გიორგი მიქაუტაძემ ზედიზედ მეექვსე შეხვედრაში გაიტანა, მაგრამ რად გინდა – მისმა გუნდმა ისევ წააგო. ჰოდა, ახლა სასწაული უნდა მოხდეს, „მეცმა“ უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება პირდაპირ რომ შეძლოს. ბოლო ტურში გიოს გუნდი, უკვე ჩემპიონ „პსჟ“-ს მასპინძლობს და ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ გაუჭირდება ქართველის გუნდს. საუკეთესო შემთხვევაში, „მეცი“ მე-16 ადგილს დაიკავებს და მეორე დივიზიონში, მესამე ადგილზე გასულ კლუბს, უძლიერესთა ლიგის საგზურისთვის შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ მიქაუტაძე „აიაქსის“ საკუთრებაა, თუმცა წარმატებული ასპარეზობის მიუხედავად, ამსტერდამელები მის დაბრუნებას არ აპირებენ. თუ „მეცი“ უძლიერესთა შორის ადგილს ვერ შეინარჩუნებს, მიქაუტაძე ქვედა დივიზიონში სათამაშოდ არ წავა და არჩევანიც ექნება – მისი შეძენის სურვილი უკვე გამთქვა მარსელის „ოლიმპიკმა“ და იმის მიუხედავად, რომ წელს ეს კლუბი ევროთასების ზონის მიღმა დარჩა, სამომავლოდ დიდი გეგმები აქვს და ქართველის შეძენით, თავდასხმის ხაზში არსებული პრობლემის მოგვარებას აპირებს.

კვარაცხელიას სანაცვლოდ, „პსჟ“ ნებისმიერ თანხას იხდის

ყველას კარგად მოეხსენება, რომ სეზონის ბოლოს, საფრანგეთის ნაკრებისა და „პარი სენ ჟერმენის“ ლიდერი კილიან მბაპე გუნდს დატოვებს და კარიერას მადრიდის „რეალში“ გააგრძელებს. ოფიციალური განცხადება თავად ფეხბურთელმაც გააკეთა და მეტიც, მან მადრიდში სახლი უკვე შეარჩია. ჰოდა, კილიანის შემცვლელად, „პსჟ“-ს ბოსებს ხვიჩა კვარაცხელია სურთ. ვაღიაროთ, რომ იტალიის ჩემპიონატი ბევრად მაღალი დონისაა, ვიდრე საფრანგეთის პირველობა, მაგრამ ამ ეტაპზე, კვარასთვის გუნდის გამოცვლა კარგი იქნება არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ჩემპიონთა ლიგაზე მოუწევს თამაში (რასაც „ნაპოლიში“ გაისად ვეღარ მოახერხებს), არამედ იმ მხრივაც, რომ ქართველი შემტევი არასტაბილური გუნდიდან, სტაბილურ კლუბში გადავა.

კვარას აგენტი მამუკა ჯუღელი უკვე ნეაპოლშია და როგორც იტალიური მედია იუწყება, კლუბის პრეზიდენტთან, აურელიო დე ლაურენტისთან მოლაპარაკებებიც გამართა. სენიორ აურელიო თანახმაა, კვარაცხელიას წლიური ხელფასი 1.2 მილიონი ევროდან, 6 მილიონ ევრომდე გაზარდოს, კონტრაქტი, რომელიც 2027 წლამდე მოქმედებს, 2029 წლამდე გაარძელოს, თუმცა დე ლაურენტისს სურს, რომ ქართველის გამოსასყიდ თანხად 150 მილიონი ევრო მიუთითოს. ამ ეტაპზე, ხვიჩა ფასი 80 მილიონია და ფრანგები მზად არიან, ეს თანხა გადაიხადონ, თუმცა იტალიური მედია ირწმუნება, ფრანგულ კლუბს იმდენად სურს კვარაცხელიას გადაბირება, რომ მის სანაცვლოდ, ბევრად მეტსაც გადაიხდისო. მოგეხსენებათ, ფრანგულ გრანდს არაბი შეიხები ფლობენ და ფულის გადახდა ნაამდვილად არ გაუჭირდებათ.

ზივზივაძე ბუნდესლიგისკენ იწევს

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა და ბუდუ ზივზივაძის „კარლსრუეს“, უძლიერესთა შორის აღზევების თეორიული შანსიც კი დაკარგული აქვს. სამაგიეროდ, იქ თამაში უკვე გაინაღდა „სანკტ პაულმა“ და ეს გუნდი მზად არის, ქართველი შემტევი გადაიბიროს. ბუდუმ მიმდინარე სეზონში 11 გოლის გატანა მოახერხა, რაც ცოტა ნამდვილად არ არის, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ მუდმივად ძირითადში არ თამაშობდა და ხშირად შეცვლებზე უწევდა შესვლა.

მოგეხსენებათ, ბუდუს „კარლსრუეში“, როგორც კლუბის ხელმძღვანელობა, ისე თანაგუნდელები და გულშემატკივრები ძალიან აფასებენ, მას სხვაგან წასვლა ეძნელება, მაგრამ...

„ბუნდესლიგა ჩემი ოცნებაა და გამიჭირდება, ამ ოცნების ასრულებაზე უარი ვთქვა“, – განაცხადა შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე ზივზივაძემ.

თუმცა, „სანკტ პაული“ ქართველი ლეგიონერის შეძენის ერთადერთი მსურველი არ არის, მის მიმართ ინტერესს არ მალავს თურქული „ტრაბზონსპორი“. მეტიც, ისინი მზად არიან, ფეხბურთელის სანაცვლოდ, „კარლსრუეს“ იმაზე მეტი გადაუხადონ, ვიდრე „სანკტ პაული“ სთავაზობს, მაგრამ, ალბათ, ადვილი მისახვედრია, რომ თურქულ ლიგას, გერმანული ბუნდესლიგა ათი თავით სჯობს. მერე რა, რომ „სანკტ პაული“, ძალიან დიდი ალბათობით, გაისად, უძლიერესთა შორის დასარჩენად იბრძოლებს.. ბუდუ ბუნდესლიგაში თავს თუ გამოიჩენს, არც გრანდ-კლუბში გადასვლა და ძალების მოსინჯვა იქნება შორეული პერსპექტივა.

ჩემპიონთა ლიგა ფინალამდე მივიდა

1 ივნისს, ინგლისში, უემბლიზე დიდი მატჩია. ჩემპიონთა ლიგის ფონალში, ერთმანეთს დორტმუნდის „ბორუსია“ და მადრიდის „რეალი“ დაუპირისპირდებიან. შესაბამისად, ამ კლუბებმა, ნახევარფინალიდან ფრანგული „პარი სენ ჟერმენი“ და გერმანული „ბაიერნი“ გამოაგდეს. ახლა ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ თურმე „დორტმუნდს“ გაუმართლა, რომ „რეალს“ „ბაიერნმა“ ბოლო წუთზე გოლი გაუტანა და მსაჯმა ტყუილად გააუქმა, რადგან ეს აღარავის ემახსოვრება და ისტორიას მხოლოდ ის შემორჩება, რომ „რეალი“ ან „დორტმუნდი“, ამ ფორმატის ჩემპიონთა ლიგას ბოლოჯერ მოიგებს. გაისად კი, ყელაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი უკვე სხვა ფორმატით გაიმართება.

გერმანულ კლუბს ეს ტიტული ერთადერთხელ, შორეულ 1997 წელს აქვს მოგებული, თუმცა ფინალში 2013 წელსაც გავიდა, მაგრამ მაშინ, ასევე გერმანულ „ბაიერნთან“ 2:1 დამარცხდა. რაც შეეხება „რეალს“, მადრიდელები ჩემპიონთა ლიგის მოგებას ისტორიაში მე-15-ედ შეეცდებიან. „სამეფო გუნდმა“ ფინალი ბოლოს 1981 წელს, „ლივერპულთან“ წააგო. საინტერესოა, რომ მადრიდელთა დამრიგებელი კარლო ანჩელოტი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გუნდს მეექვსედ გაუძღვება. წინა ხუთი შემთხვევიდან, მან ოთხში იმარჯვა – ორჯერ „მილანთან“ და ორჯერ იმავე „რეალთან“ ერთად, რაც აბსოლუტური რეკორდია. ფავორიტი, რაღა თქმა უნდა, ესპანური გრანდია, მაგრამ გავიხსენოთ, რომ 1997 წელს, „დორტმუნდს“, ტურინის „იუვენტუსთან“, ფავორიტად არავინ თვლიდა, მაგრამ გერმანელებმა 3:1 დამაჯერებლად იმარჯვეს. ჰოდა, 1 ივნისს, ძალიან, ძალიან დიდი მატჩია.

რა ღირს ზიდანის სამსახური

ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელი და არანაკლებ წარმატებული მწვრთნელი, ზინედინ ზიდანი ახლა უმუშევარია. ზიზუმ მადრიდის „რეალის“ თავკაცის პოსტი საკუთარი სურვილით დატოვა, აქაოდა, დასვენება მინდაო, მაგრამ ახლა გაამხილა, რომ დაისვენა და ზაფხულში მზად არის, ახალი კლუბი ჩაიბაროს. მისი სამსახურით არაერთი ევროპული გრანდია დაინტერესებული, მაგრამ ზიდანმა საინტერესო წინადადება არაბეთიდან მიიღო. „ალ ნასრი“ მზად არის, ფრანგს სამწლიანი ხელშეკრულება გაუფორმოს და წელიწადში... 150 მილიონი ევრო გადაუხადოს.

„წინადადება მიმზიდველია, მაგრამ მე ევროპაში მუშაობა და ევროპული კლუბის გაწვრთნა მსურს. ამიტომ, არაბეთში მუშაობისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ“, – განაცხადა ზიდანმა და პრაქტიკულად, ნახევარ მილიარდ ევროზე განაცხადა უარი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე

მე-8 გვერდიდან

ვიღუპებოდით. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ წარღვნით აღხოცა კაცთა შორის გამრავლებული ბოროტება, ცეცხლით დაწვა სოდომი და გომორი, ბაბილონის გოდლის მშენებლობით გამოვლენილი ამპარტავნებისათვის ბოროტად შეთქმული ადამიანები ენათა შერევით განაცალკევა...

ამიტომაც არის აზრი იმის შესახებაც, რომ დაცემულ ანგელოზებს ეგონათ, თუ უფალი კაცთაგან სასიკვდილოდ გაიწირებოდა, ღმერთი ადამის მოდგმას სამუდამოდ მოაკლებდა წყალობას, მისი რისხვა იქნებოდა შეუქცევადი და კაცობრიობა მთლიანად და საბოლოოდ ჯოჯოხეთის წილხვედრი გახდებოდა.

თუმცა მოვლენები რეალურად როგორ განვითარდებოდა, არა თუ მათ, თვით ღვთის ანგელოზებმაც არ იცოდნენ.

ქმნილ სამყაროს არ შეეძლო წარმოედგინა, რომ ღმერთი თავის ჯვარცმას ჩვენი გამოხსნის ყველაზე დიდ მსხვერპლშეწირვად და ჩვენდამი თავისი სიყვარულის ზეიმად აქცევდა; ჩვენს უგულისხმობას საოცარი მიმტევებლობით უპასუხებდა და დასჯით სწორედ დემონთა სამყაროს დასჯიდა; მათ ძლიერებას დაამხობდა, ჯოჯოხეთის ბჭეთ შემუსრავდა და სიკვდილს განაქარვებდა.

„დაინთქა სიკვდილი ძლევით! სადა არს ჯოჯოხეთო ძლევაი შენი, სადა არს სიკვდილო საწერტელი შენი?!“ (I კორ. 15.55).

ამიერიდან, მართლმორწმუნეთათვის იმქვეყნად სატანჯველი აღარ არსებობს, რადგან ქრისტეში და ქრისტეთი ცოდვათგან განწმენდილი მათი სულები ღვთის სავანეთ იმკვიდრებენ და მეორედ მოსვლის შემდეგ, საყოველთაო აღდგომით, უხრწნელი სხეულის შემოსვითა და ცათა სასუფეველში დამკვიდრებით იხარებენ.

მთელი ახალი აღთქმა ცათა სასუფევლისკენ მოწოდებაა, რადგან მისი მოპოვებაა ჩვენი მყოფობის არსი და აზრი. აღდგომილი მაცხოვარიც სწორედ ცათა სასუფევლის ცოდნას უზიარებდა თავის მოწაფეებს, განსაკუთრებით 40 დღის მანძილზე, როცა ზეცად ამაღლებამდე ეცხადებოდა მათ და სამოციქულო ღვაწლისთვის ამზადებდა და განამტკიცებდა.

ამის შედეგი იყო ის, რომ მოციქულები, რომელთაც დაბრკოლებისა და შიშის გამო, ჯვარცმისას მიატოვეს იესო და სინედრიონის მიერ წაქეზებული ხალხისა და ხელისუფალთაგან შეძრწუნებულნი გარეთ გასვლასაც ვერ ბედავდნენ, უხრწნელ სხეულში მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის არაერთგზისი ხილვითა და მასთან ურთიერთობით დარწმუნდნენ, რომ ასეთივე იქნებოდა საყოველთაო აღდგომისას ჩვენი სხეულებრივი მდგომარეობაც, რომ სიკვდილმა ძალა დაკარგა და მარადიული სიცოცხლისაკენ გაგვეხსნა გზა. ამიტომაც, სრულიად გაუქრათ მიწიერ სხეულთან გაყრის შიში და მათში სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებამ იზეიმა.

ისინი იმდენად განმტკიცდნენ და იმდენად განიბრძნენ უფლის სწავლებით, რომ წმინდა მიწაზეც და მთელ მსოფლიოშიც უშიშრად დაიწყეს სახარების ქადაგება და მოწამეობრივი სიკვდილიც სიხარულით მიიღეს.

* * *

უფალმა, ადამის ცოდვის გამოსყიდვით, თავის მორწმუნეთათვის სინანული გახადა იმდენად ცხოველსმყოფელი, რომ ავაზაკს სიცოცხლის ბოლო წუთების აღმსარებლობითა და გულწრფელი სინანულით, მთელი ამქვეყნიური ცოდვები მიუტევა და სამოთხის კარი გაუხსნა, რითაც თითოეულ ჩვენგანს მოგვცა იმედი სინანულის გზით ცხონებისა.

ეკლესიის დიდი მოძღვრები გვასწავლიან იმასაც, რომ ჩვენს პირველმშობლებს ცოდვა სამოთხეშივე

რომ მოენანიებინათ, დანაშაული რომ ერთმანეთისა და მაცდურისათვის არ გადაებრალებინათ, არამედ, თავიანთი ამპარტავნება და ურჩობა უფლის წინაშე გულწრფელად ეღიარებინათ, აღარ დაისჯებოდნენ.

ღვთის წინაშე შენდობა რომ ეთხოვა და ღალატის გამო შესატყვისი სინანული გამოევლინა, თვით იუდაც, პეტრე მოციქულის მსგავსად, შეწყალებას მიიღებდა, მაგრამ იგი, სინანულის ნაცვლად, სასოწარკვეთილებამ მოიცვა, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

გახსოვდეთ, რაც არ უნდა დიდი იყოს თქვენი ცოდვები, იმედი არ დაკარგოთ და სინანულის მადლით დაუბრუნდით ქრისტეს! ზეციურ მკურნალს არა ჰყავს უკურნებელი სნეულნი, რადგან მისი მოწყალება და შეწევნის ძალა უნაპიროა; ოღონდ უფალს გულმოდგინება და ნაყოფი სინანულისა უნდა ვუჩვენოთ. ადამიანს ღუპავს არა ჩადენილ ცოდვათა სიმრავლე, არამედ, მათი მოუნანიებლობა, გაქვავებული და გასასტიკებული გული.

* * *

წინასააღდგომო მარხვას ეკლესია, როგორც შემოქმედის, ასევე, მოყვასის მიმართ სინანულისა და შენდობის მოწოდებით იმიტომ იწყებს, რომ ქრისტიანული ცხოვრება წესად გვექცეს, სულიერი წყლულები მოვიშუშოთ და ნაკლოვანებანი აღმოვფხრათ, რათა ჩვენში და ჩვენს გარშემო არსებულ გარემოში მოხდეს საღვთო წიაღისკენ მიბრუნება – ურთიერთსიყვარულში დაბრუნება.

ბოლო პერიოდშიც და, სამწუხაროდ, წელსაც პოლიტიკურმა პროცესებმა ხალხში ისეთი დაძაბულობა შემოიტანა, რომ როგორც მძიმე მარხვის განცდა, ისე სააღდგომო სიხარულის განწყობა, ბევრში განელდა.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული დაპირისპირებისა და რთული ვითარებისა, ჩვენ უნდა გვაერთიანებდეს სამშობლოს სიყვარული და, განსხვავებული აზრების მიუხედავად, შეგვეძლოს მშვიდობიანი თანაცხოვრება.

ყველას მოგიწოდებთ, დღეს, შესაძლებლობისამებრ, ავმაღლდეთ სულიერად, მივეცეთ აღდგომის დღესასწაულის სიხარულს და საგალობლებით შევეგებოთ მაცხოვარს; გავერთიანდეთ ქრისტეში და ერთად შევთხოვოთ მას კეთილდღეობა და მშვიდობა, როგორც საქართველოსთვის, ისე უკრაინის, ახლო აღმოსავლეთისა და მთელი მსოფლიოსათვის.

უფალი თავისკენ უხმობს მწუხარეთ, სიმართლის მწყურვალთ, მოწყალეთ, მშვიდობისმყოფელთ, გულით წმინდანთ და რწმენაში მტკიცეთ; მათ, რომელნიც არ ბრკოლდებიან ცილისწამებით, უსამართლო დევნითა და დამცირებით და სჯერათ, რომ, როგორც განვლო სინანულისა და მარხვის დღეებმა, ასე გაივლის წუთისოფლის განსაცდელებიც და სიმართლე აუცილებლად იზეიმებს, ვითარცა იზეიმა ქრისტეს აღდგომამ.

ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ მსოფლიო ცივილიზაცია თავის ჟამთა სვლას და მოვლენებს ორ ძირითად ნაწილად ყოფს – ქრისტემდე და ქრისტეს შემდეგ წელთაღრიცხვით, რადგან 2000 წლის მანძილზე, სწორედ მას უკავშირდება უდიდესი სულიერ-კულტურული და საკაცობრიო ცვლილებები და ქრისტეს ეკლესიაც ხარობს წმინდა მამათა და დედათა და თავის სხვა ღირსეულ შვილთა სიმრავლით.

დღეს, ჩვენთან ერთად, უფლის აღდგომას ზეიმობენ ჩვენი გარდაცვლილი ახლობლები და წინაპრებიც, ჭეშმარიტი რწმენით აღსრულებულნი; დღეს ერთიანდება ცა და მიწა, დრო და მარადიულობა, რაც მთელი არსებით შეგვაგრძნობინებს, რომ ქრისტეა განმსაზღვრელი მთელი სამყაროს აწმყოსი, წარსულისა და მომავლისა; რომ იესოა სიცოცხლე და ერთადერთი წყარო სიცოცხლისა მათთვის, რომელნიც შეუდგებიან – განურჩევლად ეროვნებისა, სოციალური მდგომარეობისა და ასაკისა.

მაშ, ყველამ გულით აღმოვთქვათ:

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

აღდგომილმა მაცხოვარმა დალოცოს თითოეული თქვენგანი და სრულიად საქართველო, ამინ!

სიყვარულით მუდამ თქვენთვის მლოცველი,
ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
აღდგომა ქრისტესი,
თბილისი, 2024 წ.

ყველაზე პოპულარული ბრენდი გამოავლინეს

Lyst Index – მსოფლიო მოდის ყველაზე პოპულარული ბრენდებისა და პროდუქტების ყოველკვარტალური რეიტინგია. Lyst კომპანიაა, რომელიც მოდის ტექნოლოგიებითაა დაკავებული, თუმცა იმავდროულდ, ის აპლიკაციაა – პრემიუმ-კლასის ნივთების შესაძენად. ამ აპლიკაციით, ყოველწლიურად, 200 მილიონზე მეტი ადამიანი სარგებლობს. რეიტინგის შედგენისას ითვალისწინებენ მყიდველების ქცევას, მათ შორის, პლატფორმაზე და მის გარეთ ძიებას, პროდუქტების დათვალიერებას და გაყიდვებს. ბრენდის ან პროდუქტის პოპულარობის დადგენისას ითვალისწინებენ, ასევე, სოციალურ ქსელებში ხსენებას, აქტიურობისა და ჩართულობის სტატისტიკას მთელ მსოფლიოში, სამი თვის განმავლობაში. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით, 2024 წლის პირველი კვარტლის ყველაზე პოპულარულ ბრენდად Miu Miu დასახელდა. მასზე მოთხოვნა ამ პერიოდში 8%-ით გაიზარდა, რაც ნაწილობრივ, ცოტა ხნის წინ, პარიზში გამართულ ჩვენებასა და New Balance-თან თანამშრომლობას უკავშირდება. სიის მეორე საფეხურს Prada იკავებს და მიუხედავად რეიტინგის ვარდნისა, ის მაინც ინარჩუნებს მაღალ სტატუსს ვარსკვლავური სარეკლამო კამპანიებისა და ძვირფასი ჩანთების ახალი ვერსიებით. ყველაზე პოპულარული ბრენდების ატეულში მოხვდნენ, ასევე, LOEWE, Bottega Veneta, Saint Laurent, Moncler, Versace, Balenciaga, Valentino, Jacuemus. რაც შეეხება პოპულარულ პროდუქტებს, აქაც პირველ ადგილს Miu Miu იკავებს, თავისი ბოტასებით – New Bbalance 530 SL, რომელიც გამოსვლიდან რამდენიმე საათში სრულად გაიყიდა.

ბარბექიუს სუნამო KFC-გან

სუნამო KFC-ს არომატით – ალბათ, ეს ის არ არის, რასაც 2024 წელს ელოდით, მაგრამ შემწვარი ქათმის მწარმოებელმა გიგანტმაც გადაწყვიტა, ფასტფუდის მოყვარულები გაეოცებინა. ახალი არომატი, სახელწოდებით – No. 11 Eau de BBQ, ყოველ 100 მლ-იანი ფლაკონით, „ბარბექიუსგან მიღებულ კლასიკურ შეგრძნებებს“ გვპირდება. სუნამოს შემქმნელების თქმით, მომხმარებელი შეიგრძნობს გაკვამლული ხისა და ნახშირის სურნელს, რასაც დამატებით ხორცის ნოტებიც მოჰყვება. ეს არომატი კი აუცილებლად გაგიჩენთ წახემსების სურვილს, რადგან ის სწორედ KFC -ის მენიუდან ახალი კერძის – The Ultimate BBQ Burger-ის გემოს ასახავს.

მტირალა ჩვილების ჩემპიონატი ჩაატარეს

ამომავალი მზის ქვეყნის დედაქალაქში ყოველწლიური, ტრადიციული ფესტივალი „ნაკი სუმო“ – მტირალების სუმო შედგა, რომელმაც ყველაზე ხმაურიანი პატარა გამოავლინა. მტირალა ბავშვების ჩემპიონატი ტოკიოს ბუდისტურ ტაძარში – სენსო ძიში გაიმართა. ღონისძიებაში, რომელიც საკმაოდ პოპულარულია და უამრავ მაყურებელს იზიდავს, 100-მდე ჩვილი მონაწილეობდა. იაპონიაში სჯერათ, რომ ბავშვის ტირილი ბოროტ სულებს აშინებს და რაც უფრო ხმამაღლა ტირის პატარა, მით უფრი დიდი ძალით დააჯილდოვა ის ღმერთმა და მით ბედნიერი იქნება ცხოვრებაში. ჩემპიონატის დროს, პატარები ხელში სუმოისტებს უჭირავთ. რინგზე ორი სპორტსმენი გამოდის ბავშვებით ხელში. მსაჯის სიგნალის შემდეგ, ისინი ჩვილებს ჰაერში სწევენ და შეძახილებით, რაც შეიძლება, მათ ხმამაღლა ატირებას ცდილობენ. თუ არაფერი გამოუვათ, საქმეში უკვე მსაჯები ერთვებიან, რომელთაც დემონების ნიღბები უკეთიათ. ვინც პირველი ატირდება, გამარჯვებულიც ის არის. აღსანიშნავია, რომ იაპონელებს პატარები კონკურსზე საკუთარი ნებით მიჰყავთ. მათ სწამთ, რომ ტირილი ბავშვის ჯანმრთელობას აუმჯობესებს და ბოროტ ძალებს განდევნის.

ლუდი – არყის ხის წვენისგან

ქალაქ ლაიფციგის მცხოვრებმა სებასტიან რიკერმა, არყის ხის წვენის გამოყენებით, ლუდი დაამზადა. როგორც გამოცემა Bild-ი წერს, გერმანიის 32 წლის მცხოვრები მამაკაცი, წლების გან,ავლობაში სწავლობდა ლუდის დაყენების სხვადასხვა რეცეპტს. ამ გაზაფხულზე კი მან მოახერხა და საქსონიის ტყეში 130 ლიტრი არყის ხის წვენი შეაგროვა. სწორედ ეს წვენი გახდა ძირითადი ინგრედიენტი ლუდის ახალი სახეობისთვის – Birkenzauber ანუ „არყის ხის მაგია“. ახალი ქარვისფერი სითხის ავტორი ამტკიცებს, რომ შედეგად მიიღო მსუბუქი, ტკბილი სასმელი ყურძნის, ციტრუსებისა და ხურტკმელის ნოტებით. რიკერის მიერ ჩამოსხმული არყის ხის ლუდი სულ 600 ლიტრია და აპრილიდან უკვე იყიდება.

ვაქცინა ძვლების შესახორცებლად

ამერიკელმა სწავლულებმა აშშ-ს მაიოს კლინიკიდან, გერმანელ და ჰოლანდიელ კოლეგებთან ერთად, რნმ-მესენჯერის საფუძველზე შექმნეს ვაქცინა, რომელსაც ძვლების შეხორცების სტიმულირება შეუძლია. დაზიანების შემდეგ, ადამიანის ძვლის ქსოვილი ორი მეთოდით აღდგება: სტრომალური უჯრედებიდან (ღეროვანი უჯრედები) პირდაპირი წარმოქმნით, ანდა ენდოქონდრიალური ოსიფიკაციით ანუ ხრტილის ჩამოყალიბებით, რომელიც შემდეგ გაძვალდება. ამ მექანიზმების მოშლის და ასევე ორგანიზმში სხვა დარღვევების გამო, მოტეხილობები აღარ ხორცდება, რასაც ამპუტაციამდე მივყავართ. ასეთი შემთხვევებისთვის მკვლევარებმა მკურნალობის ახალი მეთოდი შექმნეს, რომელსაც ძვლის ქსოვილის აღდგენის სტიმულირება შეუძლია. ჯერჯერობით, სწავლულებმა ახალი პრეპარატი მღრღნელებზე დატესტეს, რამაც მაღალი ეფექტურობა და უსაფრთხოება აჩვენა, ერთი დოზის გადასხმის შედეგადაც კი. ამ მიმართულებით კვლევები კვლავ გრძელდება.

ხელოვნური ინტელექტი კაცობრიობას გაანადგურებს



უახლოესი 60 წლის განმავლობაში, ხელოვნურმა ინტელექტმა, შესაძლოა, სრულიად გაანადგურობს კაცობრიობა, – ასეთ პროგნოზებს აკეთებენ სწავლულები. ამჟამად, რობოტოტექნიკა საკმაოდ სწრაფად ვითარდება. ტექნიკური რევოლუციის რისკის შეფასების შემდეგ, მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ათი წლის შემდეგ, რობოტები 10%-ით ისე იფიქრებენ, როგორც ადამიანები, 2040 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი 50%-ს მიაღწევს. 2075 წლისთვის, სწავლულთა თქმით, რობოტების აზროვნება მაქსიმალურად ახლოს იქნება ადამიანის აზროვნებასთან. თუმცა, მიუხედავად „მანქანების აჯანყების“ საშიშროებისა, სპეციალისტები კვლავაც მუშაობენ რობოტოტექნიკის განვითარებაზე, რადგან მაღალტექნოლოგიური, ზუსტი მანქანები საჭიროა სხვადასხვა სფეროში, მაგალითად, მედიცინაში, სოციალურ სფეროში და სხვა.

ლაოსელი ემიგრანტი მილიარდერი გახდა

სიმსივნით დაავადებულმა ლაოსელმა ემიგრანტმა Powerball-ის ლატარიაში ჯეკპოტი – 1.3 მილიარდი დოლარი მოიგო. საინფორმაციო სააგენტო აპ-ის ცნობით, ეს იღბლიანი ადამიანი 46 წლის ჩენგ სეპჰანია, რომელიც პორტლენდში ცხოვრობს და რვა წლის განმავლობაში, სიმსივნეზე მკურნალობდა. ერთი კვირის წინ, მან ქიმიოთერაპიის ბოლო კურსი ჩაიტარა. როგორც აღმოჩნდა, სეპჰანი და მისი მეუღლე მოგებული თანხის მხოლოდ ნახევარს აიღებენ, მეორე ნახევარს კი მეგობარს, ლაიზა ცაოს გადასცემენ, რომელმაც მათთან ერთად იყიდა ლატარიის ბილეთების პარტია. ჯეკპოტის მფლობელებმა გადაწყვიტეს, თანხა ერთბაშად აიღონ, რაც გადასახადების გადახდის შემდეგ, 422 მილიონი დოლარი იქნება. „მოგებული თანხით ოჯახის უზრუნველყოფას, კარგი ექიმის პოვნასა და მკურნალობას შევძლებ“, – აცხადებს ბედნიერი ემიგრანტი. შეგახსენებთ, Powerball – ამერიკული ლატარიაა, რომელიც 45 შტატში, კოლუმბიის ოლქში, პუერტო-რიკოსა და ვირჯინიის კუნძულებზე თამაშდება.

მარილი დიაბეტის გამომწვევად აღიარეს

ამერიკელმა სწავლულებმა ტულანის უნივერსიტეტიდან დაადგინეს, რომ მარილი მეორე ტიპის დიაბეტის გამომწვევი რისკ-ფაქტორია. მათ კვლევაში 400 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. დაკვირვებები საკმაოდ ხანგრძლივად, 11.8 წელიწადს გრძელდებოდა. ამ დროის განმავლობაში, 13 ათას სუბიექტს განუვითარდა მეორე ტიპის დიაბეტი. ადამიანებს, რომლებიც საკვებს ზოგჯერ უმატებდნენ მარილს, 13%-ით ჰქონდათ გაზრდილი დაავადების განვითარების რისკი მათთან შედარებით, ვინც ამას იშვიათად ან საერთოდ არ აკეტებდა. ხოლო ვინც ხშირად და ყოველთვის უმატებდა საკვებს მარილს, მათი რისკები 20 და 39%-ით იყო გაზრდილი. ცნობილია, რომ დიაბეტის რისკქვეშ მყოფი ადამიანები უნდა მოერიდონ შაქარს, მაგრამ ახლა აღმოჩდა, რომ მათთვის მარილიც საზიანოა. ამას კი იმ ფაქტორით ხსნიან, რომ მარილიოანი საკვები ადამიანებს დიდი ულუფების მიღებისკენ უბიძგებს, რაც ზრდის დიაბეტის რისკ-ფაქტორების განვითარების ალბათობას. სხვა კვლევებით ისიც დადგინდა, რომ ჭარბი მარილი საკვებში უარყოფითად მოქმედებს იმუნურ სისტემაზე.

„კიბოს მკვლელი“ პროდუქტი დაასახელეს

კურკუმინი, რომელიც კურკუმას აქტიური ინგრედიენტია, ხელს უწყობს კიბოს განვითარების რისკის მნიშვნელოვნად შემცირებას და აფერხებს სიმსივნური წარმონაქმნების ზრდის პროცესს. ამის შესახებ Cancer Research UK-ის მედიკოსებმა განაცხადეს. ექიმების თქმით, ანტიოქსიდანტების მაღალი კონცენტრაციის გამო, ისინი კურკუმას ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის ალტერნატიულ საშუალებად მიიჩნევენ. სპეციალისტებმა ამ სანელებელს „კიბოს მკვლელი“ უწოდეს. სწავლულებმა ისიც აღნიშნეს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც კურკუმას აქტიურად მოიხმარენ, ონკოდაავადებების მქონე ადამიანების რიცხვი მნიშვნელოვნად ნაკლებია. კურკუმა სასარგებლოა თვალებისთვისაც – ამცირებს კატარაქტას წარმოქმნის, ასევე გლაუკომისა და მაკულოდისტროფიის რისკებს. სანელებელს იყენებენ ქოლესტერინის დასაწევ საშუალებადაც. თუმცა, ამასთანავე, კურკუმას ჭარბი მოხმარება იწვევს კუჭის აშლილობას, კუჭის მჟავიანობის მომატებას, თავბრუსხვევას და თავის ტკივილს.

ცოლის პაემანზე დაპატიჟება უბრძანეს

აშშ-ის ფლორიდის შტატში, ოჯახურ ძალადობაში ბრალდებულ მამაკაცს ცოლის პაემანზე მიპატიჟება დაავალეს. იმის ნაცვლად, რომ დამნაშავესთვის ჯარიმა ან შესაბამისი ვადით პატიმრობა დაეკისრებინა, მოსამართლე ჯონ ჰერლიმ, 47 წლის ბრალდებულ ჯოზეფ ბრეის განუცხადა, რომ ვალდებულია, მეუღლეს დაბადების დღეზე ყვავილები აჩუქოს, მისალოცი ბარათიც მიართვას და რესტორანშიც დაპატიჟოს. მართალია, სასჯელი უცნაურია, მაგრამ არც ისეთი, როგორიც 100 ღორი – ასეთი სასჯელი სამოას რაგბის ნაკრების მწვრთნელს ლოთობისთვის დააკისრეს. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ბრეის დაავიწყდა, ცოლისთვის დაბადების დღე მიელოცა. თავიდან მათ ჯერ იჩხუბეს, მერე კამათი ცემა-ტყეპაში გადაიზარდა. ამ დროს კაცმა ცოლს ხელი ჰკრა, დივანზე დააგდო და ახრჩობდა. როგორც მოსამართლემ აღნიშნა, ინციდენტი უმნიშვნელო იყო და ქალსაც არ მიუღია არანაირი დაზიანება, ამიტომ ქმარს მკაცრი სასჯელი არ დააკისრეს.

სასმელის გამო ჰომოსექსუალობა დასწამეს

კამერუნის სასამართლომ ჰომოსექსუალიზმში დამნაშავედ სცნო მამაკაცი, რომელმაც ნაღების ლიქიორი „ბეილისი“ დალია. ადგილობრივი თემიდის მსახურები მიიჩნევენ, რომ „ქალების“ ალკოჰოლური სასმელის მიღება „დამნაშავის“ არატრადიციულ ორიენტაციაზე (კამერუნში, ეს კანონით დასჯადია) მიუთითებს. სად დალია მამაკაცმა „ბეილისი“ ან ვინ „ჩაუშვა“, უცნობია. ქვეყანაში, 1972 წლიდან, ერთსქესიანი ურთიერთობები კანონით ისჯება. ჰომოსექსუალიზმისთვის სასჯელს, როგორც წესი, ირიბი ბრალდების საფუძველზე იხდიან ხოლმე. სასამართლოს მიერ დამნაშავედ შერაცხულს ხუთ წლამდე პატიმრობას უსჯიან. ჯერჯერობით, უცნობია, რამდენი წლით მოხვდება გისოსებს მიღმა ნაღების ლიქიორის მოყვარული კამერუნელი.

„პროკურორი“ რობოტები შექმნეს

ჩინელმა სწავლულებმა მსოფლიოში პირველი რობოტი შექმნეს, რომელსაც ხელოვნური ინტელექტის საშუალებით, ადამიანების დადანაშაულება და ბრალმდებლის პოზიციის დაკავება შეუძლია. ადგილობრივი მედიის ცნობით, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ „პროკურორს“ საქმის სიტყვიერი აღწერის შემდეგ, ბრალის წაყენება კანონთან შესაბამისობაში 97%-იანი სიზუსტით შეუძლია. მკვლევარებმა ეს „პროკურორი“ რობოტი შანხაის ერთ-ერთ პროკურატურაში გამოსცადეს. „ჭკვიანი“ მანქანის ავტორები ამბობენ, რომ ეს ტექნოლოგია ხელს შეუწყობს პროკურორების ყოველდღიური დატვირთვის შემცირებას, რაც მათ საშუალებას მისცემს, სამსახურში უფრო რთულ საქმეებზე გაამახვილონ ყურადღება.

ღორის კუჭმა გაამდიდრა

ჩინელი ფერმერი, რომელმაც მიერ მიერ დაკლული ღორის კუჭში, ეგრეთ წოდებული, ვეზოარული ქვა აღმოაჩინა, უცებ ოლქის უმდიდრესი ადამიანი გახდა. ნაპოვნი ქვა თმის გორგალი და გადაუმუშავებელი საჭმელია, რომელიც დროთა განმავლობაში, ცხოველის კუჭში გაქვავდა. ამ აღმოჩენის ღირებულება 606 ათასი დოლარია. ჩინეთის სოფლის მცხოვრებლებს იშვიათად უმართლებთ ამგვარი „ქვის“ აღმოჩენაში. ადგილობრივები მას „ღორის განძს“ უწოდებენ. მიიჩნევა, რომ პრეპარატებს, რომელსაც მისგან ამზადებენ, შესანიშნვად გამოჰყავს ორგანიზმიდან ტოქსინები და ადამიანს უამრავი დაავადებისგან არჩენს. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ XVII საუკუნეში, „ღორის განძს“ ინგლისელი მედიკოსები იყენებდნენ, დღევანდელ ჩინეთში, ექიმებში ამ ვეზოარულ ქვას ოქროს ფასი აქვს. ფერმერმა ნაპოვნი „ქვა“ შანხაიში წაიღო და თითქმის 7 ათასი დოლარი დახარჯა მისი მიახლოებითი ფასის დადგენაში.

ყველაზე უცნაური საგზაო წესები

თუკი თქვენ ძალიან გიყვართ ავტომობილით მოგზაურობა, მაშინ ეს ცოდნა აუცილებლად გამოგადგებათ. მაგალითად, ავსტრიაში, შესაძლოა, სიჩქარის გადამეტებისთვის დაგაჯარიმონ, რომელსაც ზომავენ რადარით კი არა, არამედ, თვალით. ჩინეთში ტურისტებს მანქანის საჭესთან დაჯდომა მხოლოდ მართვის უფლების ადგილობრივი მოწმობის აღების შემდეგ შეუძლიათ, რაც თეორიის ჩაბარებას გულისხმობს. აშშ-ში, კენტუკის შტატში, მანდილოსნებს შეუძლიათ საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილებმა მართონ ავტომობილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი თან აქვთ თავდაცვის საშუალებები ან... ორი პოლიციელი აცილებთ. ყველამ იცის, რომ გერმანია ძალიან ლიბერალური ქვეყანაა, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება მანქანის მართვისას ტანსაცმლის არჩევას. რაკიღა ავტომობილი კერძო საკუთრებად ითვლება, საჭესთან შიშველიც შეგიძლიათ დაჯდეთ. თუმცა, თუ ფეხზეც არაფერს ჩაიცვამთ და შემთხვევით, ავარიაშიც მოყვებით, დაზღვევის თანხას ნუღარ დაელოდებით – კომპანიები ამ შემთხვევაში ზარალს არ ანაზღაურებენ. ინგლისის გზებზე მანქანით მოსიარულეებმა უნდა იცოდნენ, რომ თუ ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოგინდათ და საპირფარეშიც ახლოს არსადაა, შეგიძლიათ, გზის პირას გააჩეროთ, მანქანის უკანა ნაწილისკენ წახვიდეთ და მოშარდოთ, მხოლოდ მარჯვენა ხელი საკუთარ ავტოზე უნდა გედოთ. სხვა შემთხვევაში, ჯარიმა არ აგცდებათ.

იტალიაში მოგზაურობისას, თუ თან საყვარელი ოთხფეხა მეგობარიც გყავთ, აუცილებელია უსაფრთხოების ქამარი მასაც გადაუჭიროთ. არაბთა გაერთიანებულ საემიროებში აქლემი მაღალი სტატუსის სიმბოლოდ მიიჩნევა. ამ უდაბნოს კუზიანი მეფეების მიმართ პატივისცემა საგზაო წესებშიც აისახა – გზებზე მოზრაობისას პრიორიტეტი აქლემებს ენიჭებათ და მათ აუცილებლად გზა უნდა დაუთმოთ. თქვენივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ჩეხეთსა და ხორვატიაში აკრძალულია მანქანით ბენზინის ქილებით გადატანა. სამაგიეროდ, აუცილებლად უნდა გქონდეთ სათადარიგო ნათურების კომპლექტი. ამერიკაში, მინესოტას შტატში, გორილებს შეუძლიათ ავტომობილით მოგზაურობა, მაგრამ მხოლოდ მძღოლის გვერდით სავარძელზე. უკანა სავარძელზე თუ მიუჩენთ ადგილს, მძღოლს აუცილებლად დააჯარიმებენ.

ინფექციებისას კიტრი მიირთვით

ყველასთვის ნაცნობი და საყვარელი პროდუქტი – კიტრი სასარგებლო საკვებია არა მხოლოდ ზაფხულში, არამედ, ის ადამიანის რაციონის განუყრელი ნაწილიც უნდა გახდეს ინფექციური დაავადებების ეპიდემიის დროს. კიტრი შეიცავს ძლიერ ანტიოქსიდანტებს, რომელიც ორგანიზმს ეხმარება საშიში თავისუფალი რადიკალებისგან დაცვაში. კიტრის მოხმარებამ გაციების, გრიპის, კორონავირუსის ეპიდემიის დროს, შესაძლოა, ორგანიზმს ძლიერი დახმარება გაუწიოს და დაავადების წინააღმდეგ მისი ბრძოლისუნარიანობა გაზარდოს, – აღნიშნავენ სპეციალისტები. კიტრი მოქმედებს, როგორც შარდმდენი საშუალება და ხელს უწყობს ორგანიზმიდან ტოქსინების გამოდევნას. ეს ბოსტნეული შეიცავს კუკურბიტაცინებს – ნაერთებს, რომელიც მას ერთგვარ სიმწკლარტეს ანიჭებს. სწორედ ეს ნივთიერება უწყობს ხელს ნივთიერებათა ცვლისა და სისხლში შაქრის დონის რეგულირებას. კიტრში არის სტეროლებიც, რომლებიც ქოლესტერინის დონის დაქვეითებაზე მუშაობენ.

მიცვალებულების „გაცოცხლების“ მეთოდს მიაგნეს

შვედეთის დედაქალაქის დამკრძალავი ბიუროები ახალ პროექტზე მუშაობენ, რომლის წყალობითაც გარდაცვლილი ადამიანების „ელექტრონული ასლები“ უნდა შექმნან. როგორც სტოკჰოლმის ბიუროების ქსელის დირექტორი ამბობს, საწყის ეტაპზე, ლაპარაკია კომპიუტერული პროგრამების შექმნაზე, რომელთა საფუძველზეც, მომავალში, გარდაცვლილის გარეგნობის რობოტი შეიქმნება. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი იყო სამეტყველო პროგრამის შექმნა – ის შეძლებს გარდაცვლილის ხმის იმიტირებას და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო შეკითხვებზე პასუხის გაცემას, თუმცა, რობოტი ახალს ვერაფერს მოყვება. პირველი კიბერასლებისთვის დამკრძალავი ბიუროები და პროგრამისტები ათ მოხალისეს ეძებენ, რომელთა ხმებს ჩაიწერენ, რასაც შემდგომში, სპეციალური პროგრამით დაამუშავებენ.

ჩაის მოყვარულებს კოშმარები არ ემუქრებათ

სწავლულები ამომავალი მზის ქვეყნიდან აცხადებენ, რომ ჩაის მოყვარულებს ღამის კოშმარები არ ემუქრებათ. ჩაი დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობის, განსაკუთრებით, აზიელების საყვარელი სასმელია. ამის გამო, გასაკვირი არ არის, რომ სწორედ იაპონელებმა ჩაატარეს კვლევები, რომლის შედეგებითაც გაარკვიეს, რა გავლენას ახდენს ჩაი ადამიანის სიზმრებზე. აღმოჩნდა, რომ სასმელში არსებული ნივთიერება ტანინი, რომელსაც აზიელი მკურნალები საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ სამედიცინო პრაქტიკაში, პრაქტიკულად, რამდენიმეჯერ ამცირებს საშინელი სიზმრების ნახვის შესაძლებლობას. ცოტა ხნის წინ, სწავლულბმა ისიც გაარკვიეს, რომ მწვანე ჩაი განსაკუთრებით სასარგებლო ყოფილა მამაკაცებისთვის – ის მათ უფრო მობილიზებულსა და ჭკვიანს ხდის.

კითხვა სასარგებლოა ორგანიზმისთვის



წიგნების კითხვა მეტად სასარგებლო საქმიანობაა ადამიანის ორგანიზმისთვის, – ამის შესახებ ამერიკელმა სწავლულებმა განაცხადეს, იალეს უნივერსიტეტიდან. მათ გამოკვლევა ჩაატარეს და დადგინეს, რომ კითხვა სიცოცხლეს ახანგრძლივებს. მკვლევართა თქმით, ის ადამიანები, რომლებიც წიგნების კითხვას კვირაში 3.5 საათს მაინც უთმობენ, ნაადრევი სიკვდილის რისკს 23%-ით იმცირებენ მათთან შედარებით, რომლებიც საერთოდ არ კითხულობენ. წიგნები გვიხსნის სტრესისგან, რომლისგანაც იწყება დაავადებათა დაახლოებით 60%, იწვევს ინსულტს და გულსისხლძარღვთა დაავადებებს. გარდა ამისა, კითხვა ანვითარებს მეხსიერებას და კოგნიტურ ფუნქციებს. ამასთან, იმ ადამიანებს, რომლებიც წიგნებს კითხულობენ, კარგადაც სძინავთ, რასაც ვერ ვიტყვით კომპიუტერსა და სმარტფონებს მიჯაჭვულებზე. კითხვა ანვითარებს სოციალურ უნარებს – მკითხველები უკეთესად გრძნობენ და ესმით, რაზე ფიქრობენ სხვები.

საშიშ ნივთიერებებს თმით ებვრძვიან

ბელგიაში, პროექტი Hair Recycle ამოქმედდა, რომლის ფარგლებშიც, ადამიანის თმისგან პატარა ხალიჩებს აკეთებენ. ეს ხალიჩები ნავთობსა და სხვა საშიშ ნივთიერებებს შთანთქავენ. მთელი ქვეყნის მასშტაბით, პარიკმახერები კლიენტების თმას აგროვებენ და გადასამუშავებლად აბარებენ. პროექტის ავტორები აცხადებენ, რომ ერთი კილოგრამ თმას 8 ლიტრამდე ნავთობისა და ნახშირწყალბადების შთანთქმა შეუძლია. მზა ხალიჩების მოთავსება შესაძლებელია, მაგალითად, კანალიზაციაში, რათა მავნე ნივთიერებებმა წყალი არ დააბინძურონ.

ყველაზე მეტად უძილობა ვნებს

კემბრიჯის უნივერსიტეტის სწავლულებმა, ახალი ექსპერიმენტისას, რომელშიც 21 ათასი ადამიანი მონაწილეობდა, დაადგინეს, რომ მოწევა, არასწორი კვება და ალკოჰოლის მოხმარება ადამიანის შრომისუნარიანობაზე უფრო ნაკლებ გავლენას ახდენს, ვიდრე ძილის უკმარისობა. ექსპერიმენტის მონაწილეთა ნაწილი, რომელსაც დღე-ღამეში ექვსი ან ნაკლები საათი ეძინა, გაცილებით ნაკლებპროდუქტიული იყო სამსახურში, ვიდრე ის ჯგუფები, რომლის მონაწილეებსაც სრულფასოვანი ძილით ეძინათ. მეცნიერებმა ასევე აღმოაჩინეს კავშირი ადამიანის ფსიქოლოგიურ პრობლემებსა და სამუშაოს პროდუქტიულობას შორის და დაამტკიცეს, რომ ფინანსური სიძნელეები ნეგატიურად აისახება სამუშაოს ხარისხზე.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.